COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

სტრასბურგი, 2024 წლის 21 ოქტომბერი

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი

108-ე კონვენცია

პერსონალური მონაცემების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

www.coe.int/dataprotection

სარჩევი

მოდული 1. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ერთი პირისგან მეორესთან გადაცემა 4

მოდული 2. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან გადაცემა 26

მოდული 3. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისაგან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან გადაცემა 50

წინასიტყვაობა

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიზანია მონაცემთა გადაცემისას პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისი დონის უზრუნველყოფა იმ სახელმწიფოებში, რომლებიც არ წარმოადგენენ 108-ე კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს (Protocol CETS No. 223-ის შესაბამისად). ასევე, შესაძლოა საჭირო გახდეს მათი ადაპტირება ან დამტკიცება თითოეული მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ეს ასახულია 108-ე კონვენციის 14(3)(ბ) მუხლში.[1]

თითოეულ მხარეს შეუძლია გადაწყვიტოს, დაამტკიცოს თუ არა ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, როგორც მონაცემთა გადაცემის სტანდარტიზებული ინსტრუმენტი. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მხარემ ასევე შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ეს პირობები ეროვნულ სამართლებრივ მოთხოვნებს.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ერთიანი მოდელი (MCC) შეიძლება გამოიყენონ მონაცემთა გამცემებმა იმ სახელმწიფოებშიც, რომლებშიც არ მოქმედებს 108+ კონვენციის იურისდიქცია. სტანდარტული პირობების საჭიროებისამებრ კორექტირება დასაშვებია, თუმცა, ცვლილების მიუხედავად, შენარჩუნებული უნდა იყოს თავდაპირველი ტექსტის არსებითი მნიშვნელობა და მიზანი.

[1] Upon entry into force of the Protocol CETS No. 223 amending Convention (ETS No. 108) for the protection of individuals with regard to the processing of personal data these Model Contractual Clauses are to be further developed or approved by the Convention Committee set up in line with Chapter VI of Convention 108+.

მოდული 1
მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ერთი პირიდან მეორესთან გადაცემის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ვადა: დაწყების თარიღი [თვე/დღე/წელი]– დასრულების თარიღი [თვე/დღე/წელი]]

მონაცემთა გამცემის შესახებ ინფორმაცია
სრული სახელწოდება:
სავაჭრო სახელწოდება (თუ განსხვავებულია):
მთავარი მისამართი (კომპანიის რეგისტრაციის მისამართი):
ოფიციალური რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
საკონტაქტო პირი (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელფოსტის ჩათვლით):

მონაცემთა მიმღების შესახებ ინფორმაცია
სრული სახელწოდება:
სავაჭრო სახელწოდება (თუ განსხვავებულია):
მთავარი მისამართი (კომპანიის რეგისტრაციის მისამართი):
ოფიციალური რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
საკონტაქტო პირი (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართი):

მონაცემთა გამცემი და მონაცემთა მიმღები წარმომადგენლების ხელმოწერით ადასტურებენ, რომ დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს: (შემდგომში „პირობები“).

ხელმოწერილია მონაცემთა გამცემის წარმომადგენელის მიერ
ხელმოწერილია:
ხელმოწერის თარიღი [თვე/დღე/წელი]:
სახელი, გვარი:
პოზიცია:

ხელმოწერილია მონაცემთა მიმღების წარმომადგენლის მიერ
ხელმოწერილია:
ხელმოწერის თარიღი [თვე/დღე/წელი]:
სახელი, გვარი:
პოზიცია:

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ნაწილი I – ჰორიზონტალური პირობები

მუხლი 1. მიზანი და ფარგლები

1.1 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიზანია, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების გადაცემისას 108-ე კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შესწორებული CETS No. 223 პროტოკოლით (შემდგომში „კონვენცია“).
აღნიშნულთან დაკავშირებით, სტანდარტული პირობები დანართებთან ერთად, რომლებიც მისი განუყოფელი ნაწილია, უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების გადაცემისას მონაცემთა დაცვის მაღალ დონეს კონვენციის მე-14(2),(3)(ბ) მუხლის შესაბამისად.

1.2 სტანდარტული პირობები მიემართება პერსონალური მონაცემების გადაცემა(ებ)ს, როგორც აღწერილია დანართ N1-ში.

1.3 პერსონალურ მონაცემთა გადაცემის მიზანი/მიზნები აღწერილია დანართ N1-ში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

გამოსაყენებელი სამართალი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა გამცემის სახელმწიფოში.

ბიომეტრიული მონაცემები: პერსონალური მონაცემების სპეციფიკური ტექნიკური დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემი, რომელიც ეხება პირის ფიზიკურ, ბიოლოგიურ ან ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს. ბიომეტრიული მონაცემით შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია ან ავთენტიფიკაცია.

კონვენცია: პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (ETS No. 108) კონვენცია, შესწორებული CETS No 223 პროტოკოლით, მიღებული მინისტრთა კომიტეტის 128-ე სესიაზე ელსინორში 2018 წლის 18 მაისს.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, (საჯარო ორგანო, სააგენტო ან სხვა ორგანო), რომელსაც დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებთან დაკავშირებით.

მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა: პერსონალურ მონაცემებზე ნებისმიერი შემთხვევითი ან არაავტორიზებული წვდომა, განადგურება, დაკარგვა, გამოყენება, შეცვლა ან გამჟღავნება მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპის დარღვევით.

მონაცემთა გამცემი: კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში დაფუძნებული მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონაცემთა მიმღებს გადასცემს პერსონალურ მონაცემებს.

მონაცემთა მიმღები: კონვენციის არაწევრ სახელმწიფოში დაფუძნებული მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელსაც მონაცემთა გამცემი გადასცემს პერსონალურ მონაცემებს.

გენეტიკური ინფორმაცია: ყველა პერსონალური მონაცემი, რომლებიც ეხება პიროვნების გენეტიკურ მახასიათებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, მემკვიდრეობით იქნა მიღებული ან შეძენილი ადრეული პრენატალური განვითარების დროს. ისინი მიღებულია ბიოლოგიური ნიმუშის ანალიზის შედეგად, მათ შორის – ქრომოსომული, დნმ ან რნმ ან სხვა ელემენტის ანალიზის საფუძველზე [წყარო: განმარტებითი ანგარიშის პარაგრაფი 57].

არაწევრი: სახელმწიფო, რომელმაც არ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან სადაც ის ჯერ არ არის შესული ძალაში.

შემდგომი გადაცემა: მონაცემთა მიმღების მიერ პერსონალური მონაცემების გადაცემა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისათვის, რომელიც იმყოფება იმავე ან სხვა იურისდიქციაში.

მხარე (ან მხარეები): მონაცემთა მიმღები ან/და მონაცემთა გამცემი, რომელიც ხელს აწერს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.

პერსონალური მონაცემები: ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება იდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებულ პირს („მონაცემთა სუბიექტი“), მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა.

დამუშავება: პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება ან მოქმედებათა ერთობლიობა, როგორებიცაა: შეგროვება, შენახვა, შეცვლა, მოძიება, გამჟღავნება, წაშლა, განადგურება ან ლოგიკური და/ან არითმეტიკული ოპერაციების განხორციელება.

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი (საჯარო ორგანო, სააგენტო ან სხვა ორგანო), რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელითა და მითითებით.

ინფორმაციის მიმღები (Recipient): ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სამსახური, სააგენტო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელთანაც ზიარდება მონაცემები.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები: (i) გენეტიკური მონაცემები, (ii) პერსონალური მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან, სისხლის სამართლის პროცესთან და ნასამართლობასთან (iii), ბიომეტრიული მონაცემები (iv) რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, პროფკავშირულ წევრობასთან, რელიგიურ ან სხვა შეხედულებებთან, ჯანმრთელობასთან ან სექსუალურ ცხოვრებასთან.

საზედამხედველო ორგანო(ებ)ი: ერთი ან რამდენიმე ორგანო, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან მოქმედი კანონმდებლობის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

მესამე მხარის ბენეფიციარი: მონაცემთა სუბიექტი, რომლის პერსონალური მონაცემები გადაცემულია წინამდებარე სტანდარტული პირობების შესაბამისად.

მესამე პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სამსახური, სააგენტო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელიც არ არის წინამდებარე სტანდარტული პირობების ხელშემკვრელი მხარე, თუმცა მონაცემები გადაეცემა მონაცემთა მიმღების მიერ (იმავე ან სხვა სახელმწიფოში).

გადაცემა: პერსონალური მონაცემების გამჟღავნება მიმღებისთვის, რომელიც ექვემდებარება კონვენციის არაწევრი ქვეყნის იურისდიქციას.

მუხლი 3. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცვლილება

3.1 წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს შესაბამის გარანტიებს, მათ შორის: დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და ეფექტიან სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, კონვენციის 14(2) და 14(3)(ბ) მუხლების შესაბამისად, იმ პირობით, რომ ისინი არ შეიცვლება, გარდა დამატებისა.

აღნიშნული ხელს არ უშლის მხარეებს, გამოიყენონ პირობები უფრო ფართო შინაარსის ხელშეკრულებაში ან/და დაამატონ სხვა დებულებები ან დამატებითი გარანტიები იმ პირობით, რომ პირდაპირ ან ირიბად არ იქნება ამ მუხლებთან ან მოქმედ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში, ან ზიანს მიაყენებს კონვენციით აღიარებულ მონაცემთა სუბიექტების ძირითადი თავისუფლებებსა და უფლებებს.

3.2 წინამდებარე პირობები გავლენას არ ახდენს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მონაცემთა გამცემმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა შეასრულოს.

მუხლი 4. განმარტება და სხვა ხელშეკრულებებთან კავშირი

4.1 წინამდებარე დოკუმენტში აღნიშნულ ტერმინებს აქვთ კონვენციაში განმარტებული ტერმინების მსგავსი მნიშვნელობა, გარდა მე-2 მუხლით განსაზღვრული ტერმინებისა.

4.2 ხელშეკრულების სტანდარტული პირობები განმარტებული უნდა იყოს კონვენციის დებულებებისა და მისი განმარტებითი ბარათის შესაბამისად.

4.3 ეს დებულებები არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ეწინააღმდეგებოდეს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს. თუ განმარტებების მნიშვნელობა ბუნდოვანია ან არსებობს ერთზე მეტი განმარტება, გამოიყენება ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონვენციას.

4.4 პირობებსა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებს. თუმცა ურთიერთგამომრიცხავი პირობების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პირობას, რომელიც მეტად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს.

მუხლი 5. სტანდარტული პირობების აღსრულება და შეტყობინება

5.1 პირობები შესაძლებელია აღსრულდეს ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობის მიუხედავად. როგორც კი თითოეული მხარე მიიღებს ხელმოწერილ ასლს მეორისგან (ციფრული ასლების ჩათვლით), ყველა ასლი ერთად შექმნის ერთ სრულ დოკუმენტს და თითოეული ასლი განიხილება ორიგინალად.

5.2 თითოეული მხარე ადასტურებს, რომ მას აქვს კანონიერი უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს, მიაწოდოს და შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე პირობებით.

5.3 მხარეებს შორის თითოეული შეტყობინება და მოთხოვნა უნდა შესრულდეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით საკონტაქტო პირის მითითებით პირველ გვერდზე ან მხარის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ განახლებულ

მისამართზე. თუ დოკუმენტი გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით, შეტყობინება მიწოდებულად ჩაითვლება გაგზავნისთანავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს, თუ გაგზავნილია არასამუშაო საათებში იმ პირობით, რომ შეტყობინება მიწოდების შეფერხების ან დოკუმენტის დაბრუნების შესახებ არ იქნება მიღებული.

მუხლი 6. მიერთების შესახებ პირობა (არასავალდებულო)

6.1 სუბიექტს, რომელიც არ წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, მხარეების შეთანხმებით ნებისმიერ დროს შეუძლია შეუერთდეს პირობებს, როგორც მონაცემთა გამცემი ან მონაცემთა მიმღები. მიერთებისთვის საჭიროა მე-2 დანართის შევსება და აღნიშნულის ხელმოწერით დადასტურება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დანართი 1-ელის განახლება.

6.2 დანართი 2-ის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ სუბიექტი ხდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მხარე და წარმოეშვება მონაცემთა გამცემის/მონაცემთა მიმღების უფლებები და მოვალეობები.

6.3 სუბიექტს მიერთებამდე არ წარმოეშვება უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 7. მესამე მხარის ბენეფიციარები

მხარეები თანხმდებიან, რომ მონაცემთა ნებისმიერ სუბიექტს, რომლის პერსონალური მონაცემებიც გადაეცა წინამდებარე დებულებების შესაბამისად, უფლება აქვს გამოიყენოს წინამდებარე პირობების II და III ნაწილებში განსაზღვრული გარანტიები, როგორც მესამე პირის ბენეფიციარმა, რაც მოიაზრებს მონაცემთა სუბიექტისათვის უფლების, მოქმედების, საჩივრის, სარგებლის ან პრივილეგიის მინიჭებასაც.

ნაწილი II - მონაცემთა დაცვის გარანტიები: მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 8. გულმოდგინების ვალდებულება და ურთიერთთანამშრომლობა

8.1 მონაცემთა გამცემი იძლევა გარანტიას, რომ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად გამოიყენა გონივრული ძალისხმევა და განახორციელა შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები.

მუხლი 9. მიზნის შეზღუდვა

მონაცემთა მიმღები ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს გადაცემის კონკრეტული მიზნ(ებ)ით, როგორც ეს მითითებულია 1-ელ დანართში.
ასევე, მონაცემთა მიმღებს შეუძლია დაამუშავოს პერსონალური მონაცემები:
ა) როდესაც ეს აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე;
ბ) სასამართლო საქმისწარმოების ფარგლებში სამართლებრივი მოთხოვნის, თავდაცვის მიზნით.

მუხლი 10. დამუშავების გამჭვირვალობა

10.1 მონაცემთა სუბიექტებს, პირობებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების მიზნით, მონაცემთა მიმღები პროაქტიულად აცნობებს უფასოდ, პირდაპირ ან მონაცემთა გამცემის მეშვეობით შემდეგ ინფორმაციას:
ა) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
ბ) დამუშავების სამართლებრივი საფუძველი და მიზანი (მიზნები);
გ) დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები;
დ) პერსონალური მონაცემების მიმღებთა ვინაობა ან კატეგორიები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ე) წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების მექანიზმები;
ვ) პერსონალური მონაცემების სამართლიანი და გამჭვირვალე დამუშავების უზრუნველსაყოფად ნებისმიერი საჭირო დამატებითი ინფორმაცია, როგორებიცაა: შენახვის ვადა, დამუშავების ლოგიკა (კერძოდ, გადაწყვეტილების ავტომატური მიღების ალგორითმების გამოყენების შემთხვევაში, პროფაილინგის ჩათვლით).
(ზ) წინამდებარე პირობების ასლის მიღების უფლება.

10.2. წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტი არ გამოიყენება, როდესაც მონაცემთა სუბიექტს უკვე აქვს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური მონაცემები არ არის მოპოვებული უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან, მონაცემთა მიმღებს არ მოეთხოვება ჩამოთვლილი ინფორმაციის მიწოდება. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ასევე არ ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამუშავება კანონით არის მოთხოვნილი ან თუ ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია, ან მოითხოვს არაპროპორციულ ძალისხმევას. ასეთ შემთხვევებში მონაცემთა მიმღები მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ინფორმაცია საჯარო გახადოს.

მუხლი 11. სიზუსტე და მონაცემთა მინიმიზაცია

11.1 მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა მიმღებმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს, რომ არაზუსტი პერსონალური მონაცემები, დამუშავების მიზნ(ებ)ის გათვალისწინებით, წაიშალოს ან დაუყოვნებლივ გამოსწორდეს.

11.2 თუ მონაცემთა მიმღები მიიღებს ინფორმაციას, რომ მონაცემთა გამცემის მიერ შესწორდა მონაცემები, მიმღები დაუყოვნებლივ ასახავს ზემოხსენებულ შესწორებებს.

11.3 მონაცემთა მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალური მონაცემები დამუშავდეს შესაბამისი მიზნის მისაღწევად.

მუხლი 12. შენახვის ვადის შეზღუდვა

მონაცემები შენახული უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისთვის. ვალდებულების შესასრულებლად მონაცემთა მიმღებმა უნდა მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები (მონაცემთა და ყველა სარეზერვო ასლის წაშლა, ანონიმიზაცია) შენახვის პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 13. მონაცემთა უსაფრთხოება

13.1 მონაცემთა მიმღებმა (მონაცემთა გადაცემის დროს) და გამცემმა უნდა განახორციელონ როგორც ტექნიკური, ასევე ორგანიზაციული ხასიათის უსაფრთხოების ზომები თითოეული დამუშავებისთვის. ზომების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დამუშავების ბუნება, დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორია და ტექნიკა და განხორციელების ღირებულება. ზომები უნდა შეესაბამებოდეს პოტენციური რისკების ხარისხსა და ალბათობას. მხარეებმა უნდა განიხილონ დაშიფვრისა და ფსევდონიმიზაციის ზომები, მათ შორის – გადაცემისას.

13.2 მხარეები შეთანხმდნენ დანართ N3-ში მოცემულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებზე. მონაცემთა მიმღებმა უნდა განახორციელოს რეგულარული შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ წინამდებარე ზომები აკმაყოფილებს მოთხოვნებს უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფად. იგი ვალდებულია, საჭიროებისამებრ განაახლოს უსაფრთხოების ზომები.

13.3 თუ მე-3 დანართში განხორციელებულ და აღწერილ უსაფრთხოების ზომებში არსებითი ცვლილებების ასახვაა საჭირო, მხარეებმა უნდა განაახლონ დანართი.

13.4 მიმღების მიერ ამ პუნქტების შესაბამისად დამუშავებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების ინციდენტის დადგომის შემთხვევაში მონაცემთა მიმღებმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები შესაძლო უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.

13.5 მონაცემთა მიმღებმა მონაცემთა უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს 72 საათისა უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს, რომელიც, თავის მხრივ, აცნობებს კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს წინამდებარე უსაფრთხოების დარღვევის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია, რომ დარღვევამ სერიოზული ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტების უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. მონაცემთა მიმღები დაეხმარება გამცემს შიდა საკანონმდებლო ჩარჩოთი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.
13.6 გარდა ამისა, მონაცემთა მიმღები უშუალოდ ან მონაცემთა გამცემის მეშვეობით აცნობებს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევით დაზარალებულ მონაცემთა სუბიექტებს, როდესაც მათი უფლებებისა და თავისუფლებების მაღალი რისკი არსებობს. ასეთი შეტყობინება არ არის საჭირო, თუ გამოყენებულია შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები. თუ მონაცემთა მიმღებმა მიიღო შემდგომი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი რისკის რეალიზებას, ან თუ ის მოიცავს არაპროპორციულ ძალისხმევას (ამ შემთხვევაში მონაცემთა მიმღები განახორციელებს საჯარო კომუნიკაციას ან მიიღებს მსგავს ზომებს).

13.7 ორივე შემთხვევაში შეტყობინება უნდა შეიცავდეს ადეკვატურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას, კერძოდ: მონაცემთა დარღვევის ხასიათის შესახებ, საკონტაქტო პირების ინფორმაციას, რომელთაგან მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და ზომებს, რომლებიც მონაცემთა სუბიექტებს შეუძლიათ მიიღონ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის აღმოსაფხვრელად, მათ შორის იმ ზომებს, რომლებიც შეძლებენ, შეამსუბუქონ უსაფრთხოების ინციდენტის შესაძლო უარყოფითი შედეგები.

13.8 თუ უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად, დამატებითი ინფორმაციის მიწოდებით, როგორც კი ის ხელმისაწვდომი გახდება.

მუხლი 14. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

როდესაც საქმე ეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გადაცემას, მონაცემთა მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს დამატებითი გარანტიები, რომლებიც ადაპტირებულია შესაძლო რისკებთან, მათ შორის – დისკრიმინაციის რისკთან.

მუხლი 15. მონაცემთა შემდგომი გადაცემა

15.1 მონაცემთა მიმღები არ გადასცემს პერსონალურ მონაცემებს მესამე მხარეს, თუ:
(ა) მესამე მხარის შიდა კანონმდებლობა, მათ შორის მისი საერთაშორისო ვალდებულებები მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების საფუძველზე, უზრუნველყოფს დაცვის შესაბამის დონეს კონვენციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.
(ბ) მესამე მხარე მიაღწევს შესასრულებლად სავალდებულო შეთანხმებას მონაცემთა მიმღებთან, რაც უზრუნველყოფს წინამდებარე პუნქტებით გათვალისწინებულ მონაცემთა დაცვის იმავე დონეს, და მონაცემთა მიმღები მიაწოდებს წინამდებარე გარანტიების ასლს მონაცემთა გამცემს;
(გ) შემდგომი გადაცემა აუცილებელია კონკრეტული საქმის ადმინისტრაციული, მარეგულირებელი ან სასამართლო წარმოების კონტექსტში;
(დ) შემდგომი გადაცემა აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.
(ე) თუ სხვა პირობები არ გამოიყენება, მონაცემთა მიმღებმა უნდა მიიღოს მონაცემთა სუბიექტის მკაფიო თანხმობა შემდგომი გადაცემისთვის. მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს გადაცემის მიზანი, მესამე მხარის ვინაობა და ნებისმიერი რისკი, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა არაადეკვატური დაცვის შედეგად. მონაცემთა მიმღებმა თანხმობის საფუძველზე უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს შემდგომი გადაცემის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს გაუგზავნოს მიწოდებული ინფორმაციის ასლი.

15.2 ნებისმიერი შემდგომი გადაცემა ექვემდებარება მონაცემთა მიმღების მიერ წინამდებარე პუნქტებით გათვალისწინებული ყველა სხვა გარანტიის დაცვას, განსაკუთრებით – მიზნის შეზღუდვას.

მუხლი 16. მონაცემთა მიმღების უფლებამოსილების ფარგლებში მონაცემთა დამუშავება

16.1 მონაცემთა მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს მისი უფლებამოსილების ფარგლებში, მათ შორის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, დაამუშავებს მონაცემებს მხოლოდ მისი მითითებით და ამ პირობების შესაბამისად.

16.2 მონაცემთა მიმღები სრულად არის პასუხისმგებელი მონაცემთა გამცემის, კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოსა და მონაცემთა სუბიექტების წინაშე.

მუხლი 17. დოკუმენტირება და შესაბამისობა

17.1 თითოეულმა მხარემ უნდა შეძლოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამტკიცება. ამ მიზნით მან უნდა შეინახოს შესაბამისი დოკუმენტაცია საქმიანობის შესახებ.

17.2 საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში თითოეული მხარე ვალდებულია, წარუდგინოს მას აღნიშნული დოკუმენტაცია.

17.3 მონაცემთა მიმღები გარანტიას იძლევა, რომ დამუშავების დაწყებამდე, კონკრეტული გადაცემის გარემოებების შესაბამისად, გულდასმით შეაფასებს მონაცემთა სუბიექტების უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე ზეგავლენას და წინამდებარე პუნქტების შესასრულებლად მიიღებს საჭირო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს.

მუხლი 18. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

18.1 გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში მონაცემთა მიმღები, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა გამცემის დახმარებით განიხილავს ნებისმიერ შეკითხვას და მოთხოვნას, რომლებსაც იგი მიიღებს მონაცემთა სუბიექტისგან. საჭიროებისამებრ ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ორ თვემდე, მოთხოვნების, მოთხოვნების კომპლექსურობისა და რაოდენობის გათვალისწინებით. მონაცემთა მიმღები ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს დაგვიანების მიზეზებთან ერთად აცნობოს ვადის გახანგრძლივების შესახებ მაშინვე, არა უგვიანეს 5 დღისა.

18.2 მონაცემთა მიმღებმა უნდა აცნობოს მონაცემთა სუბიექტს მარტივად გასაგები ფორმით – ინდივიდუალური შეტყობინების, ვებგვერდის გამოყენებით ან საკონტაქტო პირის მეშვეობით და განიხილოს საჩივრები.

18.3 მონაცემთა მიმღები ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მონაცემთა სუბიექტმა შეძლოს საკუთარი უფლებების განხორციელება. მონაცემთა სუბიექტისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს გასაგები, მკაფიო და მარტივი ენით გადმოცემული.

18.4 მონაცემთა მიმღების მიმართ მონაცემთა სუბიექტებს აქვთ შემდეგი უფლებები:

ა) მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, არ დაექვემდებაროს გადაწყვეტილებას, რომელიც მხოლოდ ავტომატურ დამუშავებაზე დაყრდნობით არის მიღებული და, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე, მისთვის სამართლებრივ ან სხვა მნიშვნელოვან შედეგებს წარმოშობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტომატური გადაწყვეტილების მიღება დაშვებულია კანონით, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის ზომებს მონაცემთა სუბიექტის ინტერესების, უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად;

(ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრულ დროში და გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, დაადასტურონ ინფორმაცია მათთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვის ვადის შესახებ, ასევე – ნებისმიერი სხვა ინფორმაცია 10.1 პუნქტის შესაბამისად დამუშავების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;

(გ) მოთხოვნის შემთხვევაში მოიპოვონ ინფორმაცია დამუშავების საფუძვლის შესახებ;

(დ) ნებისმიერ დროს გაასაჩივრონ მათთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავება, თუკი მონაცემთა მიმღები ვერ დაასაბუთებს დამუშავების ლეგიტიმურ საფუძველს, რომელიც აჭარბებს სუბიექტთა ინტერესებს, უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს;

(ე) მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ გასწორდეს ან წაიშალოს არასწორი ან მოძველებული პერსონალური მონაცემები;

(ვ) წინამდებარე პირობების ასლის მიღება იმ პირობით, რომ მონაცემთა მიმღები იტოვებს დანართებში მითითებული ინფორმაციის რედაქტირების შესაძლებლობას. რედაქტირების შემთხვევებში მხარეებმა უნდა წარმოადგინონ პირობის შინაარსი, რათა მონაცემთა სუბიექტმა შეძლოს მისი აღქმა და უფლების განხორციელება.

(ზ) მიეწოდოს ინფორმაცია მონაცემთა მიმღების დაქვემდებარებაში მყოფი საკონტაქტო პირის შესახებ, რომლის პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს ამ მუხლის (ა)-დან (ვ) პუნქტებთან შესაბამისობა. მონაცემთა სუბიექტებს შეუძლიათ მიმართონ საკონტაქტო პირს ნებისმიერ დროს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ მიიღონ დახმარება.

18.5 ჩამოთვლილი უფლებები ხორციელდება უსასყიდლოდ.

მუხლი 19. მონაცემთა სუბიექტისთვის ზიანის ანაზღაურება

19.1 თუ მონაცემთა სუბიექტი ახორციელებს მესამე მხარის ბენეფიციარის უფლებას მე-7 მუხლის შესაბამისად, მონაცემთა მიმღები უნდა დაეთანხმოს გადაწყვეტილებას და საჩივარი შეიტანოს შესაბამის საზედამხედველო ორგანოში 21-ე მუხლის თანახმად ან სასამართლოში წარმართოს დავა 26-ე მუხლის შესაბამისად.

19.2 (არასავალდებულო) მონაცემთა მიმღები თანხმდება, რომ მონაცემთა სუბიექტებს ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება [მიუთითეთ დავის გადაწყვეტის ორგანო] უსასყიდლოდ. მონაცემთა მიმღებმა მონაცემთა სუბიექტებს უნდა აცნობოს პირადად ან ვებგვერდის მეშვეობით სამართლებრივი დაცვის მექანიზმის შესახებ.

შენიშვნა: მონაცემთა მიმღებს შეუძლია შესთავაზოს დავის დამოუკიდებელი გადაწყვეტა არბიტრაჟის მეშვეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმ ქვეყანაშია, რომელმაც მოახდინა ნიუ-იორკის კონვენციის რატიფიცირება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

დავის გადაწყვეტის ორგანოში საჩივრის შეტანის შესაძლებლობა გავლენას არ ახდენს მონაცემთა სუბიექტის უფლებაზე წინამდებარე მუხლების, მოქმედი კანონმდებლობის ან მონაცემთა მიმღების კანონმდებლობის საფუძველზე მიმართოს შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს ან სასამართლოებს.

მუხლი 20. პასუხისმგებლობა

20.1 თითოეული მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარის/ მხარეებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია წინამდებარე მუხლების დარღვევით.

20.2 თითოეული მხარე პასუხისმგებელია მონაცემთა სუბიექტის წინაშე. მას აქვს უფლება, მიიღოს კომპენსაცია მატერიალური ან არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მხარემ მიაყენა. აღნიშნული არ ზღუდავს მონაცემთა გამცემის ან მონაცემთა

მიმღების პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის ან მონაცემთა მიმღების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესაბამისად.

20.3 როდესაც ერთზე მეტი მხარე არის პასუხისმგებელი მონაცემთა სუბიექტისთვის ამ პირობების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, თითოეული მათგანი ვალდებულია, ერთობლივად და ინდივიდუალურად აუნაზღაუროს ზიანი. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.

20.4 მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ ერთ-ერთი მხარე, წინა დებულებების შესაბამისად, არის პასუხისმგებელი, მას შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია მეორე მხარისგან ან მხარეებისგან მათი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

20.5 მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი რჩება პასუხისმგებელი დამუშავებაზე, როდესაც ის სრულდება მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ. მხარეებს საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად არ შეუძლიათ მიუთითონ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ქმედებებზე.

მუხლი 21. საზედამხედველო ორგანო

21.1 საზედამხედველო ორგანო/ორგანოები უზრუნველყოფენ მონაცემთა გამცემის მიერ გადაცემის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მეთვალყურეობას.

21.2 მონაცემთა მიმღები თანახმაა, კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს იურისდიქცია გავრცელდეს, ითანამშრომლოს შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და დაემორჩილოს მის გადაწყვეტილებას. კერძოდ: მონაცემთა მიმღები თანახმაა უპასუხოს შეკითხვებს, ჩატარდეს აუდიტი და შეასრულოს საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული ზომები, მათ შორის – გამოსასწორებელი და კომპენსაციის ზომები.

ნაწილი III – შიდა კანონმდებლობა და ვალდებულებები საჯარო ხელისუფლების მიერ წვდომის შემთხვევაში

მუხლი 22. შიდა კანონები და პრაქტიკა, რომლებიც გავლენას ახდენს პირობებთან შესაბამისობაზე

22.1 მხარეებს არ აქვთ საფუძველი, ივარაუდონ, რომ დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც ვრცელდება მონაცემთა მიმღების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე (მათ შორის – მოთხოვნები მონაცემთა გაზიარებაზე ან სამთავრობო დაწესებულებებისათვის ინფორმაციაზე წვდომის ნების დართვის

შესახებ), ხელს შეუშლის მონაცემთა მიმღებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

წინამდებარე პუნქტები ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ კანონმდებლობა და პრაქტიკა პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და მათი მოთხოვნები საჭირო და პროპორციულია დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციის 11(1) პუნქტით გაწერილ მიზნებთან.

22.2 მხარეები აცხადებენ, რომ გაითვალისწინეს შემდეგი პუნქტები:
(ა) კონკრეტული გარემოებები;
(ბ) მონაცემთა მიმღები ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის – პრეცედენტული სამართალი გადაცემის კონკრეტულ გარემოებებთან ერთად;
(გ) ყველა შესაბამისი ხელშეკრულებითი, ტექნიკური და ორგანიზაციული დაცვის ზომა.

22.3 მონაცემთა მიმღები ადასტურებს, რომ, 22.2 პუნქტის შესაბამისად, გამცემს მიაწოდა საჭირო ინფორმაცია თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, და თანახმაა, გააგრძელოს თანამშრომლობა გამცემთან წინამდებარე პუნქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
22.5 მონაცემთა მიმღები თანახმაა, დაუყოვნებლივ აცნობოს მონაცემთა გამცემს, თუ ამ პუნქტებზე დათანხმების შემდეგ და ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ მასზე ვრცელდება ან გავრცელდა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება 22.1 პუნქტის მოთხოვნებს. მათ შორის არ შეესაბამება დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილებას ან ღონისძიებას (როგორიცაა, მაგალითად, გამჟღავნების მოთხოვნა), რომელიც მიუთითებს პრაქტიკაში 22.1 პუნქტის მოთხოვნების მიმართ შეუსაბამო კანონების გამოყენებაზე.

22.6 თუ მონაცემთა გამცემი მიიღებს შეტყობინებას 22.5 მუხლის შესაბამისად ან ეჭვობს, რომ მონაცემთა მიმღები ვეღარ ასრულებს თავის ვალდებულებებს, მონაცემთა გამცემმა სწრაფად უნდა იმოქმედოს, მიიღოს ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომები მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად. მონაცემთა გამცემი შეაჩერებს გადაცემას, თუ ჩათვლის, რომ არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი გარანტიები ასეთი გადაცემისთვის ან ამის თაობაზე მიუთითებს კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო. მონაცემთა გამცემს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რამდენადაც ეს ეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას ამ პუნქტების შესაბამისად. თუ ხელშეკრულება დადებულია ორზე მეტ მხარეს შორის, მონაცემთა გამცემს შეუძლია გამოიყენოს შეწყვეტის ეს უფლება მხოლოდ შესაბამის მხარესთან მიმართებით, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ. როდესაც ხელშეკრულება წყდება ამ მუხლის შესაბამისად, გამოიყენება 24.4 და 24.5 მუხლები.

მუხლი 23. მონაცემთა მიმღების ვალდებულებები საჯარო დაწესებულებების მიერ მონაცემთა წვდომის შემთხვევებში

23.1 შეტყობინება

(ა) რამდენადაც მონაცემთა მიმღების ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულია, მონაცემთა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემსა და შესაძლებლობის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს, თუ მას მოეთხოვება გადაცემული პერსონალური მონაცემების შენახვა, გაზიარება ან გამჟღავნება მესამე მხარისთვის, მათ შორის – საჯარო ორგანოსთვის. მონაცემთა მიმღები მაქსიმალურად უნდა ეცადოს, დააკმაყოფილოს მოთხოვნა.
(ბ) თუ მონაცემთა მიმღებს არ აქვს უფლება, შეატყობინოს მონაცემთა გამცემს ან მონაცემთა სუბიექტს, ის მაქსიმალურად უნდა ეცადოს, მიიღოს ნებართვა, რამდენადაც ამას შიდა კანონმდებლობა დაუშვებს, რათა რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის გაზიარება შეძლოს. მონაცემთა მიმღები ასევე თანახმაა შეინახოს ამის დამადასტურებელი ჩანაწერი, რათა ის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა გამცემს წარუდგინოს.

(გ) სადაც დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობითაა დასაშვები, მონაცემთა მიმღები თანახმაა, მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა გამცემს მიაწოდოს რაც შეიძლება მეტი შესაბამისი ინფორმაცია მის მიერ მიღებული გამჟღავნების შესახებ მოთხოვნის შესახებ (კერძოდ: მოთხოვნის რაოდენობა, მოთხოვნილი მონაცემების ტიპი, მომთხოვნი ორგანო/ები, იყო თუ არა მოთხოვნები გასაჩივრებული და ასეთი გამოწვევების შედეგი და ა.შ.).

(გ) თუ დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობით ნებადართულია, მონაცემთა მიმღები თანხმდება, მოთხოვნისთანავე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მონაცემთა გამცემს მის მიერ მიღებული ნებისმიერი მოთხოვნის შესახებ. ეს მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, როგორებიცაა: მოთხოვნების რაოდენობა, მოთხოვნილი მონაცემების ტიპი, იყო თუ არა რომელიმე მოთხოვნა სადავო და შედეგები.

(დ) მონაცემთა მიმღები თანხმდება, რომ (ა)-გ) პუნქტების შესაბამისად ხელშეკრულების ვადით შეინახოს ინფორმაცია და მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახადოს იგი კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოსთვის.

(ე) (ა), (ბ) და (დ) პუნქტები არ ზღუდავს მონაცემთა მიმღების ვალდებულებას 22.5-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, დაუყოვნებლივ აცნობოს მონაცემთა გამცემს, თუ ის ვერ ასრულებს ამ მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

23.2. კანონიერების შესწავლა და მონაცემთა მინიმიზაცია

(ა) მონაცემთა მიმღებმა უნდა განიხილოს მონაცემთა გამჟღავნების ნებისმიერი მოთხოვნის კანონიერება, კერძოდ, უნდა გადაისინჯოს მომთხოვნი საჯარო დაწესებულების უფლებამოსილება ინფორმაციის მოთხოვნის კუთხით, აგრეთვე – მოთხოვნის კანონიერების საკითხი ადგილობრივი კანონმდებლობის და შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობის დანაწესის მიხედვით. მონაცემთა მიმღებმა უნდა განიხილოს გასაჩივრების საკითხიც ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისად. გასაჩივრებისა და მასზე პასუხის მიღების/მოლოდინის პროცესში მონაცემთა მიმღები უნდა შეეცადოს, მიმართოს კანონით დაშვებულ ზომებს, რათა, ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის მიუხედავად, შეინარჩუნოს ინფორმაცია გაუმჟღავნებლად, იქამდე, სანამ არ მიიღებს გასაჩივრების შედეგს. ეს მოთხოვნები არ ათავისუფლებს მონაცემთა მიმღებს 22.5 და 24.1. მუხლების მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან.
(ბ) მონაცემთა მიმღებმა იურიდიული შეფასებები დოკუმენტებში უნდა ასახოს, ასევე აღრიცხოს ნებისმიერი მოთხოვნა ინფორმაციაზე წვდომის შესახებ და კანონმდებლობის ფარგლებში მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია მონაცემთა გამცემს. აგრეთვე, მან მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსათვის.
(გ) ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემისას, მას შემდეგ, რაც მონაცემთა მიმღები გადასინჯავს ინფორმაციის მოთხოვნის კანონიერებას, მხოლოდ ის ინფორმაცია და ის მინიმალური რაოდენობა უნდა გადასცეს, რაც აუცილებელია მოთხოვნაზე პასუხის გასაცემად.

ნაწილი IV – დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. პირობებთან შეუსაბამობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

24.1 თითოეულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ან მხარეებს, თუ რაიმე მიზეზით ვერ შეძლებს წინამდებარე დებულებების შესრულებას.

24.2 თუ მონაცემთა გამცემი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მონაცემთა მიმღები წინამდებარე მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობას ვერ უზრუნველყოფს, მონაცემთა გამცემმა უნდა შეაჩეროს მონაცემთა გადაცემა, სანამ შესაბამისობა არ იქნება მიღწეული ან არ შეწყდება ხელშეკრულება. წინამდებარე დანაწესი 22.6 მუხლის მოთხოვნებს არ აუქმებს.

24.3 მონაცემთა გამცემი უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც:

(ა) 24.2 მუხლის საფუძველზე მონაცემთა გამცემმა შეაჩერა მონაცემთა გადაცემა და თუ მოკლე ვადაში არ იქნა მიღწეული ხელშეკრულების პუნქტებთან შესაბამისობა (ნებისმიერ დროს, გადაცემის შეწყვეტიდან 1 თვის ვადაში);
(ბ) მონაცემთა მიმღები ხელშეკრულების პუნქტებს დარღვევს და ვერ უზრუნველყოფს შესაბამისობას;
(გ) მონაცემთა მიმღები არ ასრულებს სასამართლოს ან მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ამ შემთხვევებში აუცილებელია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ინფორმირება. როდესაც ხელშეკრულებას ორზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, მონაცემთა გამცემმა შესაძლოა გააუქმოს ხელშეკრულება მხოლოდ იმ მხარესთან მიმართებით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს შესაბამისობას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან (თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული).

24.4 ხელშეკრულების გაუქმების შემდგომ (თუ ხელშეკრულება გაუქმდა 24.3 მუხლით განსაზღვრული საფუძვლით), ხელშეკრულების გაუქმებამდე გადაცემული მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს გამცემს ან გამცემის სურვილისამებრ სრულად წაიშალოს. აღნიშნული ვრცელდება მონაცემთა ასლებზეც.

24.5 მონაცემთა მიმღები ვალდებულია, დაუდასტუროს მონაცემთა გამცემს, რომ მონაცემები წაიშალა. ვიდრე მონაცემები წაიშლება ან დაბრუნდება, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების მუხლებთან შესაბამისობა. თუ შიდა კანონმდებლობა, რომელიც მონაცემთა მიმღებზე ვრცელდება, კრძალავს მონაცემთა წაშლას ან დაბრუნებას, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, შეინარჩუნოს შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან და მხოლოდ იმ მინიმალური რაოდენობით დაამუშავოს მონაცემები, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. გამცემს უნდა ეცნობოს ადგილობრივი კანონმდებლობისა და კანონით მოთხოვნილი შენახვის ვადის შესახებ. უნდა მოხდეს მონაცემთა მხოლოდ მინიმალური რაოდენობის შენახვა ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მისაღწევად.

მუხლი 25. მომწესრიგებელი კანონმდებლობა

ამ ხელშეკრულების სტანდარტულ პუნქტებზე ვრცელდება მონაცემთა გამცემის ქვეყნის კანონმდებლობა.
თუ მონაცემთა გამცემის ქვეყნის კანონმდებლობა არ ცნობს მესამე მხარის ბენეფიციარის (მიმღების) უფლებებს, მაშინ ამ ხელშეკრულების სტანდარტულ

პირობებზე უნდა გავრცელდეს შემდეგი ქვეყნის კანონმდებლობა [გთხოვთ, მიუთითოთ კანონმდებლობა, რომელიც ცნობს მესამე მხარის ბენეფიციარის (მიმღების) უფლებებს].

მუხლი 26. ფორუმის და იურისდიქციის არჩევა

26.1 წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყდეს სასამართლოს გზით [_____].
26.2 მონაცემთა სუბიექტები უფლებამოსილნი არიან, თავიანთ ქვეყანაში მიმართონ სასამართლოებს მონაცემთა გამცემის ან/და მიმღების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის გზით.
26.3 მხარეები თანხმდებიან წინამდებარე პუნქტებით (26.1 და 26.2) განსაზღვრული სასამართლოების იურისდიქციას.

მუხლი 27. არბიტრაჟი

თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა არბიტრაჟის წესით უნდა გადაწყდეს (შემდგომში „წესები“) საერთაშორისო სავაჭრო პალატის – „International Chamber of Commerce“ („ICC“) – მხარეთა მიერ არჩეული სამი არბიტრის მიერ.

თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს ერთი არბიტრი. მხარეების მიერ დანიშნული ორი არბიტრი დანიშნავს მესამეს. თუ საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან მიმართვის შემდგომ 30 დღის ვადაში მხარეები ან რომელიმე მხარე არ დანიშნავს არბიტრს, იგი დაინიშნება ICC-ის წესების თანახმად. არბიტრაჟის პროცედურა უნდა გაიმართოს [ქალაქი, ქვეყანა] შემდეგ ენაზე [მიუთითეთ ენა]. არბიტრების გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი, საბოლოო და მხარეების მიერ შესასრულებლად სავალდებულო.

დანართი 1
ინფორმაცია გადაცემის შესახებ

ინფორმაცია, რომელიც თითოეულ გადაცემას მიემართება, უნდა იყოს ნათლად განცალკავებული სხვა ინფორმაციისაგან ან გადაცემის კატეგორიისაგან და ნათლად უნდა იყოს გამიჯნული მხარეების (მონაცემთა გამცემის და მიმღების) როლები.

წინამდებარე მოთხოვნების შესრულება შესაძლებელია ერთი დანართის შევსებით. სავალდებულო არ არის სხვადასხვა გადაცემისათვის/სხვადასხვა კატეგორიის მონაცემთა გადაცემისათვის დამოუკიდებელი დანართების შევსება.

თუ სახეზეა შემთხვევა, როდესაც საჭიროა მეტი სიცხადე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტი დანართი.

გადაცემის აღწერა:

- იმ მონაცემთა სუბიექტების კატეგორია, რომელთა მონაცემებიც გადაიცემა;
- პერსონალურ მონაცემთა კატეგორია, რომელიც გადაიცემა;
- გადაცემული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები და გამოყენებული შეზღუდვები ან დაცვითი ზომები და მასთან დაკავშირებულ რისკები. მაგალითად: მკაცრი დამუშავების მიზნის შეზღუდვები (strict purpose limitation), დამუშავების კანონიერი საფუძვლები (მაგალითად, მონაცემთა სუბიექტის ცალსახა თანხმობა), წვდომის შეზღუდვა (მათ შორის, მონაცემებზე წვდომა თანამშრომლებისთვის, რომლებთაც გაიარეს სპეციფიკური ტრენინგები), შეზღუდვები მონაცემთა შემდგომ გამჟღავნებაზე, მონაცემთა გაზიარების შემთხვევების აღრიცხვა, შეზღუდვები შემდგომ გადაცემებზე, კონკრეტული ორგანიზაციული ან ტექნიკური ზომების მიღება (მაგალითად: მონაცემთა დაშიფვრა, ფსევდონიმიზაცია) ან დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებები;
- მონაცემთა გადაცემის სიხშირე (მაგალითად, მონაცემები გადაიცა ერთჯერადად თუ უწყვეტად);
- დამუშავების ბუნება;
- მონაცემთა გადაცემისა და მონაცემთა შემდგომი დამუშავების მიზანი;
- პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადა ან მეთოდი, რომლითაც ეს პერიოდი დგინდება.

დანართი 2

ხელმოწერის ფორმა

[ვადა: დაწყების თარიღი [თვე/დღე/წელი] - დამთავრების თარიღი [თვე/დღე/წელი]]

მონაცემთა გამცემის შესახებ ინფორმაცია

სრული სახელწოდება:

სავაჭრო სახელწოდება (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის რეგისტრაციის მისამართი):

ოფიციალური რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკონტაქტო პირი (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მისამართი):

მონაცემთა მიმღების შესახებ ინფორმაცია

სრული სახელწოდება:

სავაჭრო სახელწოდება (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის რეგისტრაციის მისამართი):

ოფიციალური რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკონტაქტო პირი (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მისამართი):

მონაცემთა გამცემი და მონაცემთა მიმღები წარმომადგენლების ხელმოწერით ადასტურებენ, რომ დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს: (შემდგომში „პირობები“).

ხელმოწერილია მონაცემთა გამცემის წარმომადგენელის მიერ

ხელმოწერილია:

ხელმოწერის თარიღი [თვე/დღე/წელი]:

სახელი, გვარი:

პოზიცია:

ხელმოწერილია მონაცემთა მიმღების წარმომადგენლის მიერ

ხელმოწერილია:

ხელმოწერის თარიღი [თვე/დღე/წელი]:

სახელი, გვარი:

დანართი 3
უსაფრთხოების ზომები

ეს დანართი უნდა შეივსოს და განახლდეს მონაცემთა მიმღების მიერ. ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები უნდა აღიწეროს სპეციფიკური (და არა ზოგადი) ტერმინებით. მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რომელი ზომა რომელ გადაცემას მიემართება.

შესაძლო ზომების მაგალითები:

- პერსონალურ მონაცემთა ფსევდონიმიზაცია და დაშიფვრა;
- მონაცემთა დამუშავების სისტემებისა და სერვისების მუდმივი კონფიდენციალობის, მთლიანობის, ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ზომები;
- ფიზიკურ ან ტექნიკურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობისა და მათი დროულად აღდგენის უზრუნველყოფის ზომები;
- მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების მიზნით შექმნილი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობის რეგულარული შემოწმებისა და შეფასების პროცესები;
- მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და ავტორიზაციის ზომები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზომები გადაცემისას;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზომები შენახვისას;
- ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები იმ ადგილებში, სადაც მუშავდება პერსონალური მონაცემები;
- მოვლენათა აღრიცხვის ზომები;
- სისტემური კონფიგურაციის ზომები, მათ შორის default კონფიგურაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების მართვის ზომები;
- დამუშავებისა და პროდუქტების სერტიფიცირების ზომები;
- მონაცემთა მინიმიზაციის უზრუნველყოფის ზომები;
- მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის ზომები;
- შენახვის ვადის შეზღუდვის (limited data retention) უზრუნველყოფის ზომები;
- პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის ზომები;
- მონაცემთა გადაცემისა და წაშლის უზრუნველყოფის ზომები.

მოდული 2

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე გადაცემის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ვადა: დაწყების თარიღი [თვე/დღე/წელი]– დასრულების თარიღი [თვე/დღე/წელი]]

მონაცემთა გამცემის შესახებ ინფორმაცია

სრული სახელწოდება:
სავაჭრო სახელწოდება (თუ განსხვავებულია):
მთავარი მისამართი (კომპანიის რეგისტრაციის მისამართი):
ოფიციალური რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
საკონტაქტო პირი (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელფოსტის ჩათვლით):

მონაცემთა მიმღების შესახებ ინფორმაცია

სრული სახელწოდება:
სავაჭრო სახელწოდება (თუ განსხვავებულია):
მთავარი მისამართი (კომპანიის რეგისტრაციის მისამართი):
ოფიციალური რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
საკონტაქტო პირი (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მისამართი):

მონაცემთა გამცემი და მონაცემთა მიმღები წარმომადგენლების ხელმოწერით ადასტურებენ, რომ დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს: (შემდგომში „პირობები“).

ხელმოწერილია მონაცემთა გამცემის წარმომადგენელის მიერ

ხელმოწერილია:
ხელმოწერის თარიღი [თვე/დღე/წელი]:
სახელი, გვარი:
პოზიცია:

ხელმოწერილია მონაცემთა მიმღების წარმომადგენლის მიერ

ხელმოწერილია:
ხელმოწერის თარიღი [თვე/დღე/წელი]:
სახელი, გვარი:
პოზიცია:

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ნაწილი I – ჰორიზონტალური პირობები

მუხლი 1. მიზანი და ფარგლები

1.4 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიზანია, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების გადაცემისას 108-ე კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შესწორებული CETS No. 223 პროტოკოლით (შემდგომში „კონვენცია“).
აღნიშნულთან დაკავშირებით, სტანდარტული პირობები, დანართებთან ერთად, რომლებიც მათი განუყოფელი ნაწილია, უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების გადაცემისას მონაცემთა დაცვის მაღალ დონეს კონვენციის მე-14(2),(3)(ბ) მუხლის შესაბამისად.

1.5 სტანდარტული პირობები მიემართება პერსონალური მონაცემების გადაცემა(ებ)ს, როგორც აღწერილია დანართ N1-ში.

1.6 პერსონალურ მონაცემთა გადაცემის მიზანი/მიზნები აღწერილია დანართ N1-ში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

გამოსაყენებელი სამართალი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა გამცემის სახელმწიფოში.

ბიომეტრიული მონაცემები: პერსონალური მონაცემების სპეციფიკური ტექნიკური დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემი, რომლებიც ეხება პირის ფიზიკურ, ბიოლოგიურ ან ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს. ბიომეტრიული მონაცემით შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია ან ავთენტიფიკაცია.

კონვენცია: პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (ETS No. 108) კონვენცია, შესწორებული CETS No 223 პროტოკოლით, მიღებული მინისტრთა კომიტეტის 128-ე სესიაზე ელსინორში 2018 წლის 18 მაისს.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, (საჯარო ორგანო, სააგენტო ან სხვა ორგანო), რომელსაც დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებთან დაკავშირებით.

მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა: პერსონალურ მონაცემებზე ნებისმიერი შემთხვევითი ან არაავტორიზებული წვდომა, განადგურება, დაკარგვა, გამოყენება, შეცვლა ან გამჟღავნება მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპის დარღვევით.

მონაცემთა გამცემი: კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოში დაფუძნებული მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონაცემთა მიმღებს გადასცემს პერსონალურ მონაცემებს.

მონაცემთა მიმღები: კონვენციის არაწევრ სახელმწიფოში დაფუძნებული მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც მონაცემთა გამცემი გადასცემს პერსონალურ მონაცემებს.

გენეტიკური მონაცემები: პირის გენეტიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც მიღებულია მემკვიდრეობით ან შეძენილია ადრეული პრენატალური განვითარების დროს. გენეტიკური მონაცემები წარმოიქმნება ბიოლოგიური ნიმუშის ანალიზის შედეგად.

არაწევრი: სახელმწიფო, რომელმაც არ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან სადაც ის ჯერ არ არის ძალაში შესული.

შემდგომი გადაცემა: მონაცემთა მიმღების მიერ პერსონალური მონაცემების გადაცემა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისათვის, რომელიც მდებარეობს იმავე ან სხვა იურისდიქციაში.

მხარე (ან მხარეები): მონაცემთა მიმღები ან/და მონაცემთა გამცემი, რომელიც ხელს აწერს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.

პერსონალური მონაცემები: ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება იდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებულ პირს („მონაცემთა სუბიექტი“), მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა.

დამუშავება: პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება ან მოქმედებათა ერთობლიობა, როგორებიცაა: შეგროვება, შენახვა, შეცვლა, მოძიება, გამჟღავნება, წაშლა, განადგურება ან ლოგიკური და/ან არითმეტიკული ოპერაციების განხორციელება.

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი (საჯარო ორგანო, სააგენტო ან სხვა ორგანო), რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს გამცემის სახელითა და მითითებით.

ინფორმაციის მიმღები (Recipient): ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სამსახური, სააგენტო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელთანაც ზიარდება მონაცემები.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები: (i) გენეტიკური მონაცემები, (ii) პერსონალური მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან, სისხლის სამართლის პროცესთან და ნასამართლობასთან (iii), ბიომეტრიული მონაცემები (iv) რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, პროფკავშირულ წევრობასთან, რელიგიურ ან სხვა შეხედულებებთან, ჯანმრთელობასთან ან სექსუალურ ცხოვრებასთან.

საზედამხედველო ორგანო(ებ)ი: ერთი ან რამდენიმე ორგანო, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოქმედი კანონმდებლობის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

მესამე მხარის ბენეფიციარი: მონაცემთა სუბიექტი, რომლის პერსონალური მონაცემები გადაცემულია წინამდებარე სტანდარტული პირობების შესაბამისად.

მესამე პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სამსახური, სააგენტო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელიც არ არის წინამდებარე სტანდარტული პირობების ხელშემკვრელი მხარე, თუმცა მონაცემები გადაეცემა მონაცემთა მიმღების მიერ (იმავე ან სხვა სახელმწიფოში).

გადაცემა: პერსონალური მონაცემების გამჟღავნება მიმღებისთვის, რომელიც ექვემდებარება კონვენციის არაწევრი ქვეყნის იურისდიქციას.

მუხლი 3. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცვლილება

3.1 წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს შესაბამის გარანტიებს, მათ შორის – გამცემისა და მიმღების ვალდებულებებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და ეფექტიან სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, კონვენციის 14(2) და 14(3)(ბ) მუხლების შესაბამისად, იმ პირობით, რომ ისინი არ შეიცვლება, გარდა დამატებისა.

აღნიშნული ხელს არ უშლის მხარეებს, გამოიყენონ პირობები უფრო ფართო შინაარსის ხელშეკრულებაში ან/და დაამატონ სხვა დებულებები ან დამატებითი გარანტიები იმ პირობით, რომ პირდაპირ ან ირიბად არ იქნება ამ მუხლებთან ან მოქმედ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში, ან ზიანს მიაყენებს კონვენციით აღიარებულ მონაცემთა სუბიექტების ძირითადი თავისუფლებებსა და უფლებებს.

3.2 წინამდებარე პირობები გავლენას არ ახდენს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მონაცემთა გამცემმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა შეასრულოს.

მუხლი 4. განმარტება და სხვა ხელშეკრულებებთან კავშირი

4.1 წინამდებარე დოკუმენტში აღნიშნულ ტერმინებს აქვს კონვენციაში განმარტებული ტერმინების მსგავსი მნიშვნელობა, გარდა მე-2 მუხლით განსაზღვრული ტერმინებისა.

4.2 ხელშეკრულების სტანდარტული პირობები განმარტებული უნდა იყოს კონვენციის დებულებებისა და მისი განმარტებითი ბარათის შესაბამისად.

4.3 ეს დებულებები არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ეწინააღმდეგებოდეს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს. თუ განმარტებების მნიშვნელობა ბუნდოვანია ან არსებობს ერთზე მეტი განმარტება, გამოიყენება ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონვენციას.

4.4 პირობებსა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებს. თუმცა ურთიერთგამომრიცხავი პირობების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პირობას, რომელიც მეტად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს.

მუხლი 5. სტანდარტული პირობების აღსრულება და შეტყობინება

5.1 პირობები შესაძლებელია აღსრულდეს ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობის მიუხედავად. როგორც კი თითოეული მხარე მიიღებს ხელმოწერილ ასლს მეორისგან (ციფრული ასლების ჩათვლით), ყველა ასლი ერთად შექმნის ერთ სრულ დოკუმენტს და თითოეული ასლი განიხილება ორიგინალად.

5.2 თითოეული მხარე ადასტურებს, რომ მას აქვს კანონიერი უფლებამოსილება ხელი მოაწეროს, მიაწოდოს და შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე პირობებით.

5.3 მხარეებს შორის თითოეული შეტყობინება და მოთხოვნა უნდა შესრულდეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით საკონტაქტო პირის მითითებით პირველ გვერდზე ან მხარის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ განახლებულ მისამართზე. თუ დოკუმენტი გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით, შეტყობინება მიწოდებულად ჩაითვლება გაგზავნისთანავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს, თუ გაგზავნილია არასამუშაო საათებში. იმ პირობით, რომ შეტყობინება მიწოდების შეფერხების ან დოკუმენტის დაბრუნების შესახებ არ იქნება მიღებული.

მუხლი 6. მიერთების შესახებ პირობა (არასავალდებულო)

6.1 სუბიექტს, რომელიც არ წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, მხარეების შეთანხმებით ნებისმიერ დროს შეუძლია შეუერთდეს პირობებს, როგორც მონაცემთა გამცემი ან მონაცემთა მიმღები. მიერთებისთვის საჭიროა მე-2 დანართის შევსება და აღნიშნულის დადასტურება ხელმოწერით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დანართი 1-ელის განახლება.

6.2 დანართი 2-ის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ სუბიექტი ხდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მხარე და წარმოეშვება მონაცემთა გამცემის/მონაცემთა მიმღების უფლებები და მოვალეობები.

6.3 სუბიექტს მიერთებამდე არ წარმოეშვება უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 7. მესამე მხარის ბენეფიციარები

მხარეები თანხმდებიან, რომ მონაცემთა ნებისმიერ სუბიექტს, როგორც მესამე პირის ბენეფიციარს, რომლის პერსონალური მონაცემებიც გადაეცა წინამდებარე დებულებების შესაბამისად, უფლება აქვს გამოიყენოს წინამდებარე პირობების II და III ნაწილებში განსაზღვრული გარანტიები, რაც მოიაზრებს მონაცემთა სუბიექტისათვის უფლების, მოქმედების, საჩივრის, სარგებლის ან პრივილეგიის მინიჭებასაც.

ნაწილი II - მონაცემთა დაცვის დაცვა: მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 8. დავალებები

8.1. მონაცემთა მიმღები პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ მონაცემთა გამცემის წერილობითი დავალებით ამუშავებს. მონაცემთა გამცემს შეუძლია ასეთი მითითებები გასცეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

8.2. მონაცემთა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს, თუ იგი ვერ შეასრულებს დავალებებს.

მუხლი 9. მიზნის შეზღუდვა

მონაცემთა მიმღები ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს გადაცემის კონკრეტული მიზნ(ებ)ით, როგორც ეს მითითებულია დანართ 1-ელში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა გამცემის შემდგომი დავალებაა მიღებული.

მუხლი 10. დამუშავების გამჭვირვალობა

10.1 მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა გამცემი მონაცემთა სუბიექტს უფასოდ გადასცემს წინამდებარე პირობების ასლს, მათ შორის – მხარეთა მიერ შევსებულ დანართებს.

10.2. იმდენად, რამდენადაც აუცილებელია კონფიდენციალური ინფორმაციის, მათ შორის მე-3 დანართში აღწერილი ზომებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა, მონაცემთა გამცემს შეუძლია ასლის გაზიარებამდე შესაბამისი განმარტებით დაარედაქტიროს ამ პუნქტების დანართის ტექსტის ნაწილი. მოთხოვნის შემთხვევაში მხარეებმა მონაცემთა სუბიექტს შესწორებული ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე უნდა მიაწოდონ რედაქტირების მიზეზები.

მუხლი 11. სიზუსტე და მონაცემთა მინიმიზაცია

თუ მონაცემთა მიმღები შეიტყობს, რომ მის მიერ მიღებული პერსონალური მონაცემები არაზუსტია ან არ არის განახლებული, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს. ამ შემთხვევაში მონაცემთა მიმღები ითანამშრომლებს მონაცემთა გამცემთან, რათა წაშალოს ან გაასწოროს მონაცემები დაუყოვნებლივ.

მუხლი 12. მონაცემთა დამუშავების, წაშლისა და დაბრუნების ხანგრძლივობა

12.1 მიმღების მიერ მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ პირველ დანართში განსაზღვრული ვადით.
12.2 დამუშავების დასრულების შემდგომ მონაცემთა მიმღები, მონაცემთა გამცემის სურვილისამებრ, ვალდებულია, წაშალოს ყველა პერსონალური მონაცემი, რომლებიც დამუშავდა მონაცემთა გამცემის სახელით და დაუდასტუროს მონაცემთა გამცემს, რომ მონაცემები წაშლილია, ან დაუბრუნოს მონაცემთა გამცემს მისი სახელით დამუშავებული ყველა პერსონალური მონაცემი და წაშალოს ასლები.
12.3 მონაცემების წაშლამდე ან დაბრუნებამდე მონაცემთა მიმღები ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისობა წინამდებარე პუნქტებთან.
12.4 თუ მონაცემთა მიმღებს შიდა კანონმდებლობა უკრძალავს დამუშავებულ მონაცემთა დაბრუნებას ან წაშლას, მან უნდა მისცეს გარანტია გამცემს, რომ განაგრძნობს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მხოლოდ იმ ვადით და რაოდენობით დაამუშავებს მონაცემებს, რაც კანონმდებლობით არის ნებადართული. მონაცემთა გამცემს უნდა ეცნობოს ეროვნული კანონმდებლობის შესახებ და მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ. შიდა

კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით უნდა მოხდეს საჭირო მონაცემთა მინიმალური რაოდენობის შენახვა.
12.5 წინამდებარე დებულება არ ათავისუფლებს მონაცემთა მიმღებს 22-ე პუნქტის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებისაგან (ვალდებულება აცნობოს მონაცემთა გამცემს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში), თუ მას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ იგი ექვემდებარება ან დაექვემდებარა კანონმდებლობას ან პრაქტიკას, რომელიც არ შეესაბამება 22-ე მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 13. მონაცემთა უსაფრთხოება

13.1 მონაცემთა მიმღებმა (მონაცემთა გადაცემის დროს) და მონაცემთა გამცემმა უნდა განახორციელონ როგორც ტექნიკური, ასევე ორგანიზაციული ხასიათის უსაფრთხოების შესაბამისი ზომები თითოეული დამუშავების მოქმედებისათვის, განსაკუთრებით მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის რისკისგან დასაცავად. ასეთი ზომების მიღებისას მათ უნდა გაითვალისწინონ: დამუშავების ხასიათი, დამუშავებული პერსონალური მონაცემების ბუნება და მოცულობა, დამუშავებისთვის გამოყენებული ტექნიკური არქიტექტურის დაუცველობის ხარისხი და განხორციელების ღირებულება. ზომები უნდა შეესაბამებოდეს პოტენციური რისკების სერიოზულობასა და ალბათობას. მხარეებმა უნდა განიხილონ დაშიფვრა ან ფსევდონიმიზაცია დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის – მონაცემთა გადაცემის დროს, როდესაც დამუშავების მიზნ(ებ)ის მიღწევა ამ გზით შესაძლებელია.

13.2 მხარეები შეთანხმდნენ დანართ N3-ში მოცემულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებზე. მონაცემთა მიმღებმა უნდა განახორციელოს რეგულარული შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ წინამდებარე ზომები აკმაყოფილებს მოთხოვნებს უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფად. იგი ვალდებულია განაახლოს უსაფრთხოების ზომები საჭიროებისამებრ. აგრეთვე, აცნობოს მონაცემთა გამცემს მის მიერ ჩატარებული შემოწმების და შესაბამისი ცვლილებების შესახებ.
13.3 თუ მე-3 დანართში განხორციელებულ და აღწერილ უსაფრთხოების ზომებში არსებითი ცვლილებების ასახვაა საჭირო, მხარეებმა უნდა განაახლონ დანართი.
13.4 მიმღების მიერ ამ პუნქტების შესაბამისად დამუშავებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების ინციდენტის დადგომის შემთხვევაში მონაცემთა მიმღებმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები შესაძლო უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.
13.5 მონაცემთა მიმღებმა მონაცემთა უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს 72 საათისა უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს, რომელიც, თავის მხრივ, აცნობებს კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს

წინამდებარე უსაფრთხოების დარღვევის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტების უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. მონაცემთა მიმღები დაეხმარება გამცემს შიდა საკანონმდებლო ჩარჩოთი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.
13.6 ორივე შემთხვევაში შეტყობინება უნდა შეიცავდეს ადეკვატურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას, კერძოდ: მონაცემთა დარღვევის ხასიათის შესახებ, საკონტაქტო პირების ინფორმაციას, რომელთაგან მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და ზომებს, რომლებიც მონაცემთა სუბიექტებს შეუძლიათ მიიღონ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის აღმოსაფხვრელად, მათ შორის ზომებს, რომლებიც შეძლებენ შეამსუბუქონ უსაფრთხოების ინციდენტის შესაძლო უარყოფითი შედეგები.

13.7 თუ უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად, დამატებითი ინფორმაციის მიწოდებით, როგორც კი ის ხელმისაწვდომი გახდება.

მუხლი 14. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

როდესაც საქმე ეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გადაცემას, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, უზრუნველყოს დამატებითი გარანტიები, რომლებიც ადაპტირებულია შესაძლო რისკებთან, მათ შორის – დისკრიმინაციის რისკთან.

მუხლი 15. შემდგომი გადაცემა

15.1 მონაცემთა მიმღები ვალდებულია, მესამე მხარესთან პერსონალური მონაცემები გაამჟღავნოს მხოლოდ მონაცემთა გამცემის დოკუმენტირებული დავალებების საფუძველზე.
15.2 გარდა ამისა, მონაცემთა მიმღებმა პერსონალური მონაცემები მესამე მხარეს არ უნდა გადასცეს, თუ:
(ა) მესამე მხარის შიდა კანონმდებლობა, მათ შორის მისი საერთაშორისო ვალდებულებები მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების საფუძველზე, უზრუნველყოფს დაცვის შესაბამის დონეს კონვენციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ა) მნიშვნელობით, დებულებების შესაბამისად.
(ბ) მესამე მხარე მიაღწევს შესასრულებლად სავალდებულო შეთანხმებას მონაცემთა მიმღებთან, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის იმავე დონეს, რომელიც

წინამდებარე პუნქტებით არის გათვალისწინებული, და მონაცემთა მიმღები მიაწოდებს წინამდებარე გარანტიების ასლს მონაცემთა გამცემს; ან
(გ) შემდგომი გადაცემა აუცილებელია კონკრეტული საქმის ადმინისტრაციული, მარეგულირებელი ან სასამართლო წარმოების კონტექსტში; ან
(დ) შემდგომი გადაცემა აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.
15.3 ნებისმიერი შემდგომი გადაცემა ექვემდებარება მონაცემთა მიმღების მიერ წინამდებარე პუნქტებით გათვალისწინებული ყველა სხვა გარანტიის დაცვას, განსაკუთრებით – დამუშავების მიზნის შეზღუდვის პრინციპის დაცვას.

მუხლი 16. დოკუმენტირება და შესაბამისობა

16.1 თითოეულმა მხარემ უნდა შეძლოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამტკიცება. ამ მიზნით მან უნდა შეინახოს შესაბამისი დოკუმენტაცია საქმიანობის შესახებ.
16.2 მონაცემთა გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა მიმღებმა უნდა წარადგინოს საჭირო ინფორმაცია დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობის დასადასტურებლად, გონივრული პერიოდულობით უნდა დაუშვას და ხელი შეუწყოს აუდიტის განხორციელებას, რათა გადაისინჯოს დამუშავების აქტივობები. ეს საჭიროა, თუ არსებობს შესაბამისობის დარღვევის ნიშნები. განხილვის ან აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მონაცემთა გამცემს შეუძლია გაითვალისწინოს მონაცემთა მიმღების მფლობელობაში არსებული სერტიფიკატები.

16.3 მონაცემთა გამცემს შეუძლია დამოუკიდებლად ჩაატაროს აუდიტი ან განახორციელოს ე.წ. „აუთსორსინგი“. აუდიტი შეიძლება მოიცავდეს ინსპექტირებას შენობებში ან ფიზიკურ დაწესებულებებში, ფიზიკური და ციფრული სისტემის, აგრეთვე, აპლიკაციების ან ზომების შემოწმებას, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავებასთან და მონაცემთა უსაფრთხოებასთან, მათ შორის, ალგორითმების გამოყენებასთან ან მონაცემთა ალგორითმულ დამუშავებასთან.

16.4 კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს/ორგანიზაციებისთვის მოთხოვნის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 16.2 და 16.3 მუხლებში მითითებული ინფორმაცია (აუდიტის შედეგების ჩათვლით) მიაწოდონ მათ.

16.5 მონაცემთა მიმღები იძლევა გარანტიას, რომ გულდასმით შეაფასა დამუშავების შესაძლო ზეგავლენა მონაცემთა სუბიექტების უფლებებსა და თავისუფლებებზე. ადასტურებს, რომ დამუშავების დაწყებამდე შეაფასა მონაცემთა კონკრეტული

გადაცემის გარემოებები, და კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს წინაშე შესაბამისობის დემონსტრირებისთვის მიიღო საჭირო და შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები წინამდებარე პუნქტების შესასრულებლად.

მუხლი 17. **ქვედამმუშავებლებთან (sub-processor) თანამშრომლობა**

ვარიანტი 1: წინასწარი ავტორიზაცია

17.1 მონაცემთა მიმღებმა არ უნდა გააფორმოს ქვეხელშეკრულება, რომელიც შესრულებულია მონაცემთა გამცემის სახელით. მონაცემთა მიმღებმა უნდა მოითხოვოს ავტორიზაცია, რომელშიც მინიმუმ მიეთითება კონკრეტული დროის მონაკვეთი ისე, რომ გამცემს მიეცეს ადეკვატური დრო ავტორიზაციის მოთხოვნის განხილვისათვის. აგრეთვე, გამცემს უნდა მიეცეს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ გადაწყვიტოს ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. მონაცემთა გამცემის მიერ ავტორიზებული ქვედამმუშავებლების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ მე-4 დანართში. მხარეებმა საჭიროებისამებრ უნდა განაახლონ მე-4 დანართი.

ვარიანტი 2: ზოგადი წერილობით ავტორიზაცია

17.1 მონაცემთა მიმღებს მონაცემთა გამცემის მიერ ზოგადი ავტორიზაცია აქვს მინიჭებული ქვედამმუშავებლების ჩართვისთვის (შეთანხმებული ჩამონათვალიდან). მონაცემთა მიმღები წერილობით აცნობებს მონაცემთა გამცემს ამ ჩამონათვალში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ქვედამმუშავებლების დამატების ან ჩანაცვლების გზით, სულ მცირე წინასწარ განსაზღვრული დროით [დააზუსტეთ დროის პერიოდი], რითაც მონაცემთა გამცემს უნდა მიეცეს საკმარისი დრო, გაასაჩივროს ასეთი ცვლილებები ქვედამმუშავებლების ჩართვამდე. მონაცემთა მიმღებმა უნდა მიაწოდოს მონაცემთა გამცემს საჭირო ინფორმაცია, რათა მან შეძლოს უარის თქმის უფლებით სარგებლობა.

17.2 როდესაც მონაცემთა მიმღები მონაცემთა გამცემის თანხმობით გადაცემის პროცესში რთავს ქვედამმუშავებელს, იგი ვალდებულია, გააფორმოს წერილობითი ხელშეკრულება ქვედამმუშავებელთან, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის იმავე გარანტიებს, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ეკისრებოდა მონაცემთა მიმღებს. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პუნქტის მოთხოვნების შესრულებით მონაცემთა მიმღები მე-15 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან იქნება შესაბამისობაში. მონაცემთა მიმღები ვალდებულია, რომ ქვედამმუშავებელმაც შეასრულოს ის მოვალეობები (მონაცემთა დაცვის კუთხით), რომლებიც ამ პუნქტებით ეკისრება მონაცემთა მიმღებს.

17.3 მონაცემთა მიმღებმა, გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების ასლი (იგულისხმება მიმღებსა და ქვედამმუშავებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება), მათ შორის აცნობოს ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასლის გაზიარების დროს მიმღებს შეუძლია ისე შეცვალოს ხელშეკრულების ტექსტი, რომ დაფაროს კომერციული საიდუმლოება, პერსონალური მონაცემები ან/და სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4 მონაცემთა მიმღები გამცემის წინაშე სრულად პასუხისმგებელია ქვედამმუშავებლების მიერ ვალდებულებების შესრულებაზე. მიმღებმა გამცემს უნდა აცნობოს ქვედამმუშავებლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

17.5 მონაცემთა მიმღებმა მესამე მხარის ბენეფიციარის შესახებ დებულება ქვედამმუშავებელთან უნდა შეათანხმოს, რომლის მიხედვითაც – იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა მიმღები ფაქტობრივად გაქრება, შეწყვეტს არსებობას ან გაკოტრდება – მონაცემთა გამცემს უფლება ექნება, შეწყვიტოს ხელშეკრულება ქვედამმუშავებელთან. აგრეთვე, გამცემს აქვს უფლება, მოსთხოვოს ქვედამმუშავებელს პერსონალურ მონაცემთა წაშლა ან დაბრუნება.

მუხლი 18. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

18.1 მონაცემთა მიმღებმა გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს ნებისმიერი მოთხოვნის შესახებ, რომელიც მან მონაცემთა სუბიექტისგან მიიღო. მონაცემთა გამცემის თანხმობის გარეშე მონაცემთა მიმღებმა არ უნდა უპასუხოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას.

18.2 მონაცემთა მიმღები მონაცემთა გამცემს თავისი ვალდებულებების შესრულებაში უნდა დაეხმაროს. მხარეებმა უნდა შეადგინონ დანართი 2 (ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების შესახებ), რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონაცემთა დამუშავების კონტექსტი.

18.3 პუნქტებით 18.1 და 18.2 ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას მონაცემთა მიმღებმა უნდა შეასრულოს მონაცემთა გამცემის მითითებები.

მუხლი 19. მონაცემთა სუბიექტისთვის ზიანის ანაზღაურება

19.1 თუ მონაცემთა სუბიექტი ახორციელებს მესამე მხარის ბენეფიციარის უფლებას მე-7 მუხლის შესაბამისად, მონაცემთა მიმღები უნდა დაეთანხმოს გადაწყვეტილებას

და საჩივარი შეიტანოს შესაბამის საზედამხედველო ორგანოში 21-ე მუხლის თანახმად ან სასამართლოში წარმართოს დავა 26-ე მუხლის შესაბამისად.

19.2 (არასავალდებულო) მონაცემთა მიმღები თანახმაა, რომ მონაცემთა სუბიექტებს ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება [მიუთითეთ დავის გადაწყვეტის ორგანო] უსასყიდლოდ. მონაცემთა მიმღებმა ნათლად უნდა აცნობოს მონაცემთა სუბიექტებს პირადად ან ვებგვერდის მეშვეობით ანაზღაურების მექანიზმის შესახებ.

[შენიშვნა: მონაცემთა მიმღებს შეუძლია შესთავაზოს დავის დამოუკიდებელი გადაწყვეტა არბიტრაჟის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმ ქვეყანაშია, რომელმაც მოახდინა ნიუ-იორკის კონვენციის რატიფიცირება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ].

დავის გადაწყვეტის ორგანოში საჩივრის შეტანის შესაძლებლობა გავლენას არ ახდენს მონაცემთა სუბიექტის უფლებაზე ამ მუხლებით, მოქმედი კანონმდებლობით ან მონაცემთა მიმღების კანონმდებლობით, მიმართოს შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს ან სასამართლოებს.

მუხლი 20. პასუხისმგებლობა

20.1 თითოეული მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარის/ მხარეებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია წინამდებარე მუხლების დარღვევით.

20.2 მონაცემთა მიმღები პასუხისმგებელია მონაცემთა სუბიექტის წინაშე. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს კომპენსაცია ნებისმიერი მატერიალური ან არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მიადგა წინამდებარე დებულებების დარღვევის გამო.

მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ მონაცემთა გამცემი პასუხისმგებელია წინა პუნქტის მიხედვით მონაცემთა მიმღების (ან მისი ქვედამმუშავებლების) მიერ მიყენებული ზიანისთვის, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მონაცემთა მიმღებისგან კომპენსაციის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მონაცემთა მიმღების მოქმედებების გამო დამდგარ ზიანს.

20.3 როდესაც ერთზე მეტი მხარე არის პასუხისმგებელი მონაცემთა სუბიექტისთვის ამ პირობების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, თითოეული მათგანი ვალდებულია, ერთობლივად და ინდივიდუალურად აანაზღაუროს ზიანი. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.

20.4 მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ ერთ-ერთი მხარე პასუხისმგებელია, მას შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისგან ან მხარეებისგან კომპენსაცია მათი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

20.5 მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი რჩება პასუხისმგებელი დამუშავებაზე, როდესაც ის სრულდება მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ. მხარეებს არ შეუძლიათ მიუთითონ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ქმედებებზე საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 21. საზედამხედველო ორგანო

21.1 საზედამხედველო ორგანო/ები უზრუნველყოფენ მონაცემთა გამცემის მიერ გადაცემის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მეთვალყურეობას.

21.2 მონაცემთა მიმღები თანახმაა, კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს იურისდიქცია გავრცელდეს, ითანამშრომლოს შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და დაექვემდებაროს მის გადაწყვეტილებას. კერძოდ, მონაცემთა მიმღები თანახმაა უპასუხოს შეკითხვებს, ჩატარდეს აუდიტი და შეასრულოს საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული ზომები, მათ შორის – გამოსასწორებელი და კომპენსაციის ზომები.

ნაწილი III – ადგილობრივი კანონები და ვალდებულებები საჯარო დაწესებულებების მიერ მონაცემებზე წვდომის შემთხვევაში

მუხლი 22. შიდა კანონები და პრაქტიკა, რომლებიც გავლენას ახდენს დებულებებთან შესაბამისობაზე

22.1 მხარეებს არ აქვთ საფუძველი, ივარაუდონ, რომ დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებიც ვრცელდება მონაცემთა მიმღების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე (მათ შორის მოთხოვნები მონაცემთა გაზიარებაზე, ან სამთავრობო დაწესებულებებისათვის ინფორმაციაზე წვდომის ნების დართვის შესახებ), ხელს შეუშლის მონაცემთა მიმღებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

წინამდებარე პუნქტები ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ კანონმდებლობა და პრაქტიკა პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და მათი მოთხოვნები საჭირო და პროპორციულია დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციის 11(1) პუნქტით გაწერილ მიზნებთან.

22.2 მხარეები აცხადებენ, რომ გაითვალისწინეს შემდეგი პუნქტები:

(ა) მონაცემთა დამუშავების კონკრეტული გარემოებები;

(ბ) მონაცემთა მიმღები ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის – პრეცედენტული სამართალი მონაცემთა გადაცემის კონკრეტულ გარემოებებთან ერთად;

(გ) მონაცემთა დაცვის ყველა ხელშეკრულებითი, ტექნიკური და ორგანიზაციული ზომა.

22.3 მონაცემთა მიმღები ადასტურებს, რომ, 22.2 პუნქტის შესაბამისად, გამცემს მიაწოდა საჭირო ინფორმაცია თავისი შესაძლებლობების ფარგლებში და თანახმაა, რომ გააგრძელოს თანამშრომლობა გამცემთან წინამდებარე პუნქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

22.4 მხარეებმა უნდა მოახდინონ შეფასების დოკუმენტირება და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინონ იგი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

22.5 მონაცემთა მიმღები თანახმაა, დაუყოვნებლივ აცნობოს მონაცემთა გამცემს, თუ ამ პუნქტებზე დათანხმების შემდეგ და ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, აქვს საფუძველი, ივარაუდოს, რომ მასზე ვრცელდება ან გავრცელდა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებიც შეუსაბამოა 22.1 პუნქტის მოთხოვნებთან, მათ შორის – დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილება ან ღონისძიება (როგორიცაა, მაგალითად, გამჟღავნების მოთხოვნა), რომელიც მიუთითებს პრაქტიკაში იმ კანონების გამოყენებაზე, რომლებიც 22.1 პუნქტის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

22.6 წინამდებარე პუნქტის (პუნქტი 22.5) დანაწესის შესაბამისად, შეტყობინების შემდგომ პერიოდში ან თუ სახეზეა გარემოებები, რომლებიც მონაცემთა გამცემს აძლევს საფუძველს, ივარაუდოს, რომ მონაცემთა მიმღები ვეღარ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მონაცემთა გამცემმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს შესაბამისი ზომების იდენტიფიცირება და გატარება (მაგ., ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დასაცავად). გამცემმა უნდა შეწყვიტოს მონაცემთა გადაცემა, თუ თვლის, რომ დაცვის სათანადო გარანტიები არ არსებობს. გადაცემა უნდა შეწყდეს იმ შემთხვევაშიც, თუ გამცემს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო მოსთხოვს გადაცემის შეწყვეტას. წინამდებარე შემთხვევაში გამცემი უფლებამოსილია, გააუქმოს ხელშეკრულება. თუ ხელშეკრულება გაფორმებულია ორზე მეტ მხარეს შორის, სიტუაციიდან გამომდინარე, გამცემი იმოქმედებს იმ მხარესთან ან მხარეებთან მიმართებით, რომელთა მიმართაც ვარაუდობს, რომ ამ მხარეების მიერ მონაცემთა გადაცემისას არ არის დაცული უსაფრთხოების გარანტიები (თუ მხარეებს წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით არ აქვთ მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება). როდესაც ხელშეკრულება ამ მუხლის საფუძველზე წყდება, გავრცელდება მუხლების 24.4 და 24.5 მოქმედება.

მუხლი 23. მონაცემთა მიმღების ვალდებულებები საჯარო ხელისუფლების მიერ მონაცემებზე წვდომის შემთხვევაში

23.1 შეტყობინება

(ა) თუ მონაცემთა მიმღების ქვეყნის შიდა საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა საშუალებას, მონაცემთა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს. აგრეთვე, როცა შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს (ან მაქსიმალურად შეეცადოს მათთან დაკავშირებას), რადგან იძულებულია, ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს ან გაამჟღავნოს პერსონალური მონაცემები, რომლებიც გადაცემულია გამცემისაგან მესამე პირისთვის, მათ შორის – საჯარო დაწესებულებისთვის.

(ბ) თუ მონაცემთა მიმღებს კანონით აკრძალული აქვს მონაცემთა გამცემთან ან მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირება, მაქსიმალურად უნდა სცადოს, გამონაკლისის სახით გამონახოს მხარეებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა და მოახდინოს ამის დოკუმენტირება.

(გ) როდესაც მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით დასაშვებია, მონაცემთა მიმღები მონაცემთა გამცემის მოთხოვნის საფუძველზე გამცემს გადასცემს რაც შეიძლება მეტ საჭირო ინფორმაციას ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის თაობაზე (მათ შორის: რამდენი მოთხოვნა მიიღო, რა ტიპის ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი, ინფორმაცია მომთხოვნი ორგანოების შესახებ, რამდენად დაკმაყოფილდა ან უარი ეთქვა მოთხოვნებს და როგორ შეთანხმებას მიაღწიეს წინამდებარე საკითხებზე).

(დ) მონაცემთა მიმღები თანახმაა, შეინახოს ინფორმაცია პარაგრაფების (ა) – (გ) ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე და მოთხოვნისამებრ გადასცეს იგი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

(ე) პუნქტები (ა) (ბ) და (დ) არ ათავისუფლებს მიმღებს 22.5 პუნქტის მიერ დაკისრებული ვალდებულებისაგან, 24-ე მუხლის შესაბამისად დაუყოვნებლივ აცნობოს მონაცემთა გამცემს, თუ ის ვერ ასრულებს ამ პუნქტის მოთხოვნებს.

23.3 კანონიერების შესწავლა და მონაცემთა მინიმიზაცია

(ა) მონაცემთა მიმღებმა უნდა განიხილოს მონაცემთა გამჟღავნების ნებისმიერი მოთხოვნის კანონიერება. კერძოდ, უნდა გადაისინჯოს მომთხოვნი საჯარო დაწესებულების უფლებამოსილება ინფორმაციის მოთხოვნის კუთხით, აგრეთვე – მოთხოვნის კანონიერების საკითხი ადგილობრივი კანონმდებლობის და შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობის დანაწესის მიხედვით. მონაცემთა მიმღებმა უნდა განიხილოს გასაჩივრების საკითხიც ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისად. გასაჩივრებისა და მასზე პასუხის მიღების/ მოლოდინის პროცესებში მონაცემთა მიმღები უნდა შეეცადოს, მიმართოს კანონით დაშვებულ ზომებს, რათა, ინფორმაციის

გამჟღავნების მოთხოვნის მიუხედავად, ინფორმაცია გაუმჟღავნებლად შეინარჩუნოს იქამდე, სანამ არ მიიღებს გასაჩივრების შედეგს. ეს მოთხოვნები არ ათავისუფლებს მონაცემთა მიმღებს 22.5 და 24.1. მუხლების მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან.

(ბ) მონაცემთა მიმღებმა იურიდიული შეფასებები დოკუმენტებში უნდა ასახოს. ასევე, ასახოს ნებისმიერი მოთხოვნა ინფორმაციაზე წვდომის მიმართულებით და კანონმდებლობის მოთხოვნების ფარგლებში მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია მონაცემთა გამცემს. აგრეთვე, მან მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსათვის.

(გ) ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემისას, მას შემდეგ, რაც მონაცემთა მიმღები გადასინჯავს ინფორმაციის მოთხოვნის კანონიერებას, მხოლოდ ის ინფორმაცია და ის მინიმალური რაოდენობა უნდა გადასცეს, რაც აუცილებელია მოთხოვნაზე პასუხის გასაცემად.

ნაწილი IV – დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. მუხლების მოთხოვნებთან შეუსაბამობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

24.1 ყველა მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს სხვა მხარეს/ებს, თუ რომელიმე ნებისმიერი მიზეზის გამო ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას/ებს.

24.2 თუ მონაცემთა გამცემი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მონაცემთა მიმღები წინამდებარე მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ არის, მონაცემთა გამცემმა უნდა შეაჩეროს მონაცემთა გადაცემა, სანამ შესაბამისობა არ იქნება მიღწეული ან არ შეწყდება ხელშეკრულება. წინამდებარე დანაწესი 22.6 მუხლის მოთხოვნებს არ აუქმებს.

24.3 მონაცემთა გამცემი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც:

(ა) მუხლი 24.2 - ის საფუძველზე მონაცემთა გამცემმა შეაჩერა მონაცემთა გადაცემა და თუ მოკლე ვადაში არ იქნა მიღწეული ხელშეკრულების პუნქტებთან შესაბამისობა (ნებისმიერ დროს, გადაცემის შეწყვეტიდან 1 თვის ვადაში);

(ბ) მონაცემთა მიმღები ხელშეკრულების პუნქტებს არღვევს და არ არის მათთან შესაბამისობაში; ან

(გ) მონაცემთა მიმღები არ ასრულებს სასამართლოს ან მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ამ შემთხვევებში, აუცილებელია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ინფორმირება შეუსაბამობის შესახებ.

24.4 როდესაც ხელშეკრულებას ორზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, მონაცემთა გამცემმა შესაძლოა გააუქმოს ხელშეკრულება მხოლოდ იმ მხარესთან, რომელიც არ არის შესაბამისობაში ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან (თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული).

ხელშეკრულების გაუქმების შემდგომ (თუ ხელშეკრულება გაუქმდა 24.3 მუხლში მითითებული საფუძვლით), ხელშეკრულების გაუქმებამდე გადაცემული მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს გამცემს ან გამცემის სურვილისამებრ სრულად წაიშალოს. აღნიშნული ვრცელდება მონაცემთა ასლებზეც.

მონაცემთა მიმღები ვალდებულია, დაუდასტუროს მონაცემთა გამცემს, რომ მონაცემები წაიშალა. ვიდრე მონაცემები წაიშლება ან დაბრუნდება, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების მუხლებთან შესაბამისობა. თუ შიდა კანონმდებლობა, რომელიც მონაცემთა მიმღებზე ვრცელდება, კრძალავს მონაცემთა წაშლას ან დაბრუნებას, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, შეინარჩუნოს შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან და მხოლოდ იმ მინიმალური რაოდენობით დაამუშავოს მონაცემები, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. გამცემს უნდა ეცნობოს ადგილობრივი კანონმდებლობისა და კანონით მოთხოვნილი შენახვის ვადის შესახებ. უნდა მოხდეს მონაცემთა მხოლოდ მინიმალური რაოდენობის შენახვა ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მისაღწევად.

მუხლი 25. მარეგულირებლების მომწესრიგებელი კანონმდებლობა

ამ ხელშეკრულების სტანდარტულ პუნქტებზე ვრცელდება მონაცემთა გამცემის ქვეყნის კანონმდებლობა.

თუ მონაცემთა გამცემის ქვეყნის კანონმდებლობა არ ცნობს მესამე მხარის ბენეფიციარის (მიმღების) უფლებებს, მაშინ ამ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე უნდა გავრცელდეს შემდეგი ქვეყნის კანონმდებლობა [გთხოვთ, მიუთითოთ კანონმდებლობა, რომელიც ცნობს მესამე მხარის ბენეფიციარის (მიმღების) უფლებებს].

მუხლი 26. ფორუმის და იურისდიქციის არჩევა

26.1 წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყდეს სასამართლოს გზით. [ ]

26.2 მონაცემთა სუბიექტები უფლებამოსილნი არიან თავიანთ დაფუძნების ქვეყანაში მიმართონ სასამართლოებს მონაცემთა გამცემის ან/და მიმღების წინააღმდეგ საჩივრის შეტანის გზით.

26.3 მხარეები თანხმდებიან წინამდებარე პუნქტებით (26.1 & 26.2) განსაზღვრული სასამართლოების იურისდიქციას.

მუხლი 27. არბიტრაჟი

თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა არბიტრაჟის წესებით უნდა გადაწყდეს (შემდგომში-„წესები“) საერთაშორისო სავაჭრო პალატის – „International Chamber of Commerce“ (“ICC”) – მხარეთა მიერ არჩეული სამი არბიტრის მიერ.

თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს ერთი არბიტრი. მხარეების მიერ დანიშნული ორი არბიტრი დანიშნავს მესამე არბიტრს. თუ საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან მიმართვის შემდგომ 30 დღის ვადაში მხარეები ან რომელიმე მხარე არ დანიშნავს არბიტრს, არბიტრი დაინიშნება ICC-ის წესების თანახმად.

არბიტრაჟის პროცედურა უნდა გაიმართოს [ქალაქი, ქვეყანა] შემდეგ ენაზე [მიუთითეთ ენა]. არბიტრების გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი, საბოლოო და მხარეების მიერ შესასრულებლად სავალდებულო.

დანართი 1

ინფორმაცია გადაცემის შესახებ

ინფორმაცია, რომელიც თითოეულ გადაცემას მიემართება, უნდა იყოს ნათლად განცალკავებული სხვა ინფორმაციისაგან, გადაცემის კატეგორიისაგან და ნათლად უნდა იყოს გამიჯნული მხარეების (მონაცემთა გამცემის და მიმღების) როლები.

წინამდებარე მოთხოვნების შესრულება შესაძლებელია ერთი დანართის შევსებით. (სავალდებულო არ არის სხვადასხვა გადაცემისათვის/სხვადასხვა კატეგორიის მონაცემთა გადაცემისათვის დამოუკიდებელი დანართების შევსება).

თუ სახეზეა კომპლექსური შემთხვევა, როდესაც საჭიროა ინფორმაციის სრულად გადმოცემა/მეტი სიცხადე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტი დანართი.

გადაცემის აღწერილობა:

- იმ მონაცემთა სუბიექტების გადაცემულ მონაცემთა კატეგორიები, რომელთა მონაცემების გადაცემაც მოხდა;
- გადაცემულ მონაცემთა კატეგორიები;
- გადაცემული პერსონალური მონაცემები (სადაც შესაძლებელია), შეზღუდვები და უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც ითვალისწინებენ მონაცემებისა და მათი რისკების შესახებ ინფორმაციას, მაგალითად: მკაცრი მიზნის შეზღუდვა, დამუშავების კანონიერი საფუძველი (მაგალითად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა), წვდომის შეზღუდვა (მაგალითად, მხოლოდ იმ თანამშრომელთა მიერ წვდომა, რომელთაც მიღებული აქვთ შესაბამისი წვრთნა), შეზღუდვები შემდგომ გამჟღავნებასთან დაკავშირებით, მონაცემთა გაზიარების ჩანაწერთა შენახვა, შეზღუდვები შემდგომ გადაცემაზე, უსაფრთხოების კონკრეტული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები (მაგალითად: მონაცემთა დაშიფვრა, ფსევდონიმიზაცია) ან უსაფრთხოების დამატებითი ზომები;
- მონაცემთა გადაცემის სიხშირე (მაგალითად, ერთხელ გადაიცა მონაცემები თუ გადაცემა გრძელდებოდა);
- დამუშავების ბუნება;
- მონაცემთა გადაცემის და შემდგომი დამუშავების მიზნები;
- რა ვადით იქნება შენახული პერსონალური მონაცემები ან, როდესაც ეს შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები.

დანართი 2

ხელმოწერის ფორმა

[პერიოდი: დაწყების დრო [თვე/დღე/წელი] – დასრულების დრო [თვე/დღე/წელი]

მონაცემთა გამცემის ინფორმაცია

სრული იურიდიული სახელი:

სავაჭრო სახელი (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი):

ოფიციალური სარეგისტრაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში):

მთავარი საკონტაქტო პირი (სრული სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელ.ფოსტის ჩათვლით):

მონაცემთა მიმღების ინფორმაცია

სრული იურიდიული სახელი:

სავაჭრო სახელი (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი):

ოფიციალური სარეგისტრაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში):

მთავარი საკონტაქტო პირი (სრული სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელ.ფოსტის ჩათვლით):

მხარეები ხელმოწერებით ადასტურებენ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ძალაში შესვლას.

ხელმოწერა მონაცემთა გამცემის მიერ და მისი სახელით

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

სრული სახელი:

პოზიცია:

ხელმოწერა მონაცემთა მიმღების მიერ და სახელით

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

სრული სახელი:

პოზიცია:

დანართი 3

უსაფრთხოების ზომები

დანართი უნდა შეივსოს და განახლდეს მონაცემთა მიმღების მიერ. ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები უნდა აღიწეროს კონკრეტული და არა ზოგადი ტერმნოლოგიით. უნდა მიეთითოს, რომელ გადაცემაზე რა ზომები ვრცელდება.

შესაძლო ზომების მაგალითები:

- პერსონალურ მონაცემთა ფსევდონიმიზაციისა და დაშიფვრის ღონისძიებები;
- დამუშავების სისტემებისა და სერვისების კონფიდენციალურობის, ხელმისაწვდომობისა და გამძლეობის ზომები;
- მონაცემთა ხელმისაწვდომობის აღდგენის ზომები ტექნიკური ან ფიზიკური ინციდენტის დადგომის შემთხვევაში;
- რეგულარული ტესტირებისა და შეფასების პროცესები ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობის შესაფასებლად, მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების მიზნებისათვის;
- ზომები მომხმარებელთა იდენტიფიკაციისა და ავტორიზაციისათვის;
- ზომები პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მათი გადაცემის;
- ზომები პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მათი შენახვის პერიოდში;
- ფიზიკური უსაფრთხოების ზომები იმ ადგილებში, სადაც მონაცემები მუშავდება;
- ზომები ღონისძიებათა ლოგირებისათვის;
- ზომები სისტემების კონფიგურაციისათვის;
- ზომები შიდა პროგრამული უზრუნველყოფისათვის;
- პროდუქტებისა და პროცესების სერტიფიცირების ზომები;
- მონაცემთა მინიმიზაციის ზომები;
- მონაცემთა ხარისხის მართვის ზომები;
- მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვის ანგარიშვალდებულების ზომები;
- მონაცემთა გადატანისა და წაშლის ზომები.

დანართი 4

ქვედამმუშავებლების ჩამონათვალი

ეს დანართი უნდა შეივსოს და განახლდეს მხარეების მიერ წინასწარ დამტკიცებული ქვედამმუშავებლების ჩამონათვალთან ერთად მუხლი 17.1-ის დანაწესის თანახმად.

- *ამ დანართს ავსებენ და აახლებენ მხარეები;*
- *უთითებენ წინასწარ დამტკიცებული ქვედამმუშავებლების ჩამონათვალს;*
- *ითვალისწინებენ 17.1 მუხლის დანაწესს.*

მოდული 3
ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გადაცემისათვის

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისაგან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე

ვადა: დასაწყისი [დღე/თვე/წელი] - დასასრული [დღე/თვე/წელი]

მონაცემთა გამცემის ინფორმაცია

სრული იურიდიული სახელი:

სავაჭრო სახელი (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი):

ოფიციალური სარეგისტრაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში):

მთავარი საკონტაქტო პირი (სრული სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელ.ფოსტის ჩათვლით):

მონაცემთა მიმღების ინფორმაცია

სრული იურიდიული სახელი:

სავაჭრო სახელი (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი):

ოფიციალური სარეგისტრაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში):

მთავარი საკონტაქტო პირი (სრული სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელ.ფოსტის ჩათვლით):

მხარეები ხელმოწერებით ადასტურებენ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ძალაში შესვლას.

ხელმოწერა მონაცემთა გამცემის მიერ და მისი სახელით

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

სრული სახელი:

პოზიცია:

ხელმოწერა მონაცემთა მიმღების მიერ და სახელით

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

სრული სახელი:

პოზიცია:

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ნაწილი I – ჰორიზონტალური დებულებები

მუხლი 1. მიზანი და ფარგლები

1.5. წინამდებარე პუნქტების მიზანია, უზრუნველყოს შესაბამისობა პერსონალური მონაცემების გადაცემისას 108-ე კონვენციის არახელშემკვრელი ქვეყნისათვის (შესწორებული No. 223 პროტოკოლით (შემდგომში „კონვენცია“)).

ეს პუნქტები წაკითხულ უნდა იქნეს დანართებთან ერთობლიობაში. წინამდებარე ერთობლიობა უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის შესაბამისობას კონვენციის მე-14(2),(3)(ბ) მუხლის მიერ დაწესებულ მოთხოვნებთან.

1.2. ეს პუნქტები ვრცელდება პერსონალური მონაცემების გადაცემა(ებ)ზე, როგორც ეს აღწერილია პირველ დანართში.

1.6. პერსონალური მონაცემების გადაცემის მიზანი(ები) აღწერილია პირველ დანართში.

მუხლი 2. განმარტებები

[შენიშვნა: თითოეულ ტერმინთან მიმართებით იხილეთ დოკუმენტი – Interpretation of provisions, 7 May 2021 / დებულებების ინტერპრეტაციის შესახებ. წინამდებარე განმარტებები უნდა დალაგდეს ანბანური თანმიმდევრობით.]

ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

მოქმედი კანონმდებლობა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები, რომლებიც ვრცელდება მონაცემთა გამცემის ქვეყანაში.

ბიომეტრიული მონაცემები: მონაცემები, რომლებიც მიღებულია პერსონალური მონაცემების სპეციალური, ტექნიკური დამუშავების შედეგად და ეხება ინდივიდის ფიზიკურ, ბიოლოგიურ ან ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს და იძლევა ინდივიდის უნიკალური იდენტიფიკაციის ან ავთენტიფიკაციის შესაძლებლობას, როდესაც ის გამოიყენება მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებისთვის [წყარო: განმარტებითი ანგარიშის პარაგრაფი 58].

კონვენცია: კონვენცია პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ (No. 108), შესწორებული პროტოკოლით No. 223, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ ელისინორში, 128-ე სესიაზე, 2018 წლის 18 მაისს.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სამსახური, სააგენტო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელსაც ცალკე ან სხვებთან ერთად აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დამუშავებასთან დაკავშირებით [წყარო: კონვენციის მე-2 მუხლი].

მონაცემთა უსაფრთხოების ინციდენტი: პერსონალურ მონაცემებზე ნებისმიერი შემთხვევითი ან უნებართვო წვდომა, განადგურება, დაკარგვა, გამოყენება, შეცვლა ან გამჟღავნება მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპის დარღვევის გამო [წყარო: კონვენციის მე-7 მუხლი].

მონაცემთა გამცემი: დამმუშავებელი, რომელიც კონვენციის ხელმომწერ ქვეყანაშია დაფუძნებული და მონაცემთა მიმღებს დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის სახელით გადასცემს პერსონალურ მონაცემებს.

მონაცემთა მიმღები: დამმუშავებელი, რომელსაც მონაცემთა გამცემი გადასცემს პერსონალურ მონაცემებს და რომელიც დაფუძნებულია კონვენციის არახელშემკვრელ ქვეყანაში.

გენეტიკური ინფორმაცია: ყველა პერსონალური მონაცემი, რომელიც ეხება პიროვნების გენეტიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მემკვიდრეობით იქნა მიღებული ან შეძენილი ადრეული პრენატალური განვითარების დროს. ისინი მიღებულია ბიოლოგიური ნიმუშის ანალიზის შედეგად, მათ შორის – ქრომოსომული, დნმ ან რნმ ან სხვა ელემენტის ანალიზის საფუძველზე [წყარო: განმარტებითი ანგარიშის პარაგრაფი 57].

არახელმომწერი ქვეყანა (არაწევრი სახელმწიფო): სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს რატიფიცირებული კონვენცია ან სადაც ის ჯერ არ არის ძალაში [წყარო: კონვენციის 26(3) მუხლი].

შემდგომი გადაცემა: მონაცემთა გადაცემა მიმღების მიერ სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან დამუშავებისთვის უფლებამოსილი პირისთვის, რომელიც იმავე ან სხვადასხვა სახელმწიფოშია დაფუძნებული.

მხარეები: მონაცემთა მიმღები ან მონაცემთა გამცემი, რომლიც ხელშეკრულების პუნქტების ხელმომწერი მხარეა.

პერსონალური მონაცემი: ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს (შემდგომში „მონაცემთა სუბიექტი“),

განუსაზღვრელად მისი ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა [წყარო: კონვენციის მე-2 მუხლი, განმარტებითი ანგარიშის პარაგრაფი 15].

დამუშავება: პერსონალურ მონაცემებზე შესრულებული ნებისმიერი მოქმედება ან მოქმედებათა ჯგუფი, როგორებიცაა: შეგროვება, შენახვა, შეცვლა, მოძიება, გამჟღავნება, ხელმისაწვდომობა, წაშლა ან განადგურება, ან ლოგიკური და/ან არითმეტიკული ოპერაციების განხორციელება ასეთ მონაცემებზე. როდესაც მონაცემები არაავტომატური გზით მუშავდება, დამუშავება ნიშნავს დამუშავების მოქმედებას ან მოქმედებათა ჯგუფს, რომელიც ეხება მონაცემთა სტრუქტურირებულ ჯგუფებს და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით [წყარო: კონვენციის მე-2 მუხლი].

დამმუშავებელი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სამსახური, სააგენტო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს მონაცემთა გამცემის სახელით და მითითებებით [წყარო: კონვენციის მე-2 მუხლი].

მიმღები: მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც გამცემი გადასცემს პერსონალურ მონაცემებს და რომელიც დაფუძნებულია კონვენციის არახელშემკვრელ ქვეყანაში.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი: ი) გენეტიკური მონაცემები, (ii) პერსონალური მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებებთან, სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებასა და მსჯავრდებულებთან ან მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ზომებთან; (iii) ბიომეტრიული მონაცემები, რომლებიც მუშავდება პირთა იდენტიფიკაციის მიზნით; ან (iv) პერსონალური მონაცემები, რომელიც ეხება რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, პროფკავშირულ წევრობას, რელიგიურ ან სხვა შეხედულებებს, ჯანმრთელობას ან სექსუალურ ცხოვრებას [წყარო: კონვენციის მე-6 მუხლი].

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო: ერთი ან მეტი ორგანო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პასუხისმგებელია კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად [წყარო: კონვენციის მე-15 მუხლი].

მესამე მხარის ბენეფიციარი: მონაცემთა სუბიექტი, რომლის პერსონალური მონაცემები გადაცემულია ამ პუნქტების შესაბამისად.

მესამე პირი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სამსახური, სააგენტო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელიც არ არის წინამდებარე სტანდარტული პირობების ხელშემკვრელი მხარე, თუმცა მონაცემები გადაეცემა მონაცემთა მიმღების მიერ (იმავე ან სხვა სახელმწიფოში).

გადაცემა: პერსონალური მონაცემების გამჟღავნება იმ მიმღებისთვის, რომელიც არ არის დაფუძნებული კონვენციის ხელშემკვრელ ქვეყანაში.

მუხლი 3. სახელშეკრულებო პირობების მოდელის ცვლილება

3.1. ეს მუხლები განსაზღვრავენ დაცვის სათანადო გარანტიებს, მათ შორის – ვალდებულებებს მონაცემთა გამცემებისა და მიმღებისათვის, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს და ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, კონვენციის 14(2) და 14(3)(ბ) მუხლების შესაბამისად, იმ პირობით, რომ ისინი არ შეიცვლება, გარდა დანართებში ინფორმაციის დამატებისა ან განახლებისა ან ისეთი ვარიანტის არჩევისა, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული პუნქტით.

მხარეებს შეუძლიათ ჩართონ ეს პუნქტები უფრო ზოგად ხელშეკრულებაში და/ან დაამატონ სხვა დებულებები ან დამატებითი გარანტიები იმ პირობით, რომ ისინი პირდაპირ ან ირიბად არ ეწინააღმდეგება ამ მუხლებს, ან მოქმედ კანონმდებლობას, ან ადამიანის ძირითად უფლებებსა და კონვენციით აღიარებულ მონაცემთა სუბიექტების თავისუფლებებს.

3.2 ეს მუხლები არ ათავისუფლებს გამცემს შიდა კანონმდებლობის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან.

მუხლი 4. განმარტება და სხვა ხელშეკრულებებთან კავშირი

4.1 ამ დოკუმენტის მიერ განმარტებულ ტერმინებს, რომლებიც აგრეთვე განმარტებულია კონვენციის მიერ, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც კონვენციაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, მეორე მუხლში მოცემული პროცედურის თანახმად, მათ მიენიჭათ სხვა, კონკრეტული მნიშვნელობა.

4.2 ეს დებულებები წაკითხული და განმარტებული უნდა იქნეს კონვენციის დებულებებისა და მათი განმარტებითი ანგარიშის გათვალისწინებით.

4.2 ეს დებულებები არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ეწინააღმდეგებოდეს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს. თუ განმარტებების მნიშვნელობა ბუნდოვანია ან არსებობს ერთზე მეტი განმარტება, გამოიყენება ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონვენციას.

4.4 წინამდებარე პუნქტებსა და მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებების დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს წინამდებარე პუნქტებს. გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც არსებობს ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული წინააღმდეგობა და განმარტებათა ვერსიებიდან ერთ-ერთი ვერსია მონაცემთა სუბიექტის უფლებრივ მდგომარეობას აუმჯობესებს.

უკანასკნელ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტერმინთა იმ განმარტებას, რომელიც აუმჯობესებს მონაცემთა სუბიექტის უფლებრივ მდგომარეობას.

მუხლი 5. პუნქტებისა და შეტყობინებების შესრულება

5.1 ამ დოკუმენტში გადმოცემული დებულებები შესაძლოა ჩამოყალიბდეს ერთ დოკუმენტად ან სხვადასხვა დოკუმენტად, რომლებსაც ექნება დანართები, თუმცა მხარეების მიერ ხელმოწერის შემდგომ იგი სრულად სავალდებულოა შესასრულებლად (დანართების ჩათვლით), დოკუმენტის/ების ფორმის ან/და ნაწილების განუსაზღვრელად.

5.2 თითოეული მხარე ადასტურებს, რომ აქვს უფლებამოსილება შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.3 მხარეებს შორის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და დოკუმენტაცია მხარეებს უნდა მიეწოდოთ ფიზიკური ფორმით, ფოსტის საშუალებით ან ელექტრონული ფოსტით, დოკუმენტების პირველ გვერდზე მითითებულ საკონტაქტო პირთან გაგზავნის გზით ან სხვა დამატებით პირებთან გაგზავნით, რომლებიც მხარის მიერ მოწოდებულ საკონტაქტო პირების ჩამონათვალში ექცევიან. თუ შეტყობინება ან მოთხოვნა გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით, ჩაითვლება, რომ

ის მიწოდებულია ელექტრონული ფოსტის გაგზავნის დროს. ასევე, თუ დოკუმენტები გაიგზავნება მიმღების არასამუშაო საათებში, ჩაითვლება, რომ გაიგზავნა მიმღები მხარის შემდეგ სამუშაო დღეს იმ პირობით, რომ მიღების ფაქტი დაფიქსირდება ელექტრონულად, ანუ წერილი უკან არ დუბრუნდება გამგზავნს.

მუხლი 6. შეერთების პუნქტი (არასავალდებულო)

6.1 სუბიექტს, რომელიც არ არის ხელშეკრულების მხარე, სხვა მხარეებთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს შეუძლია შეუერთდეს ამ პუნქტებს, როგორც მონაცემთა გამცემი ან როგორც მონაცემთა მიმღები, დანართი 2-ის შევსებითა და ხელმოწერით. ასევე, საჭიროებისამებრ განაახლლოს „გადაცემის შესახებ აღწერილობა“, რომელიც მოცემულია პირველ დანართში.

6.2 დანართი 2-ის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ პირი გახდება ამ პუნქტების მხარე და ექნება იგივე უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც აქვს მონაცემთა გამცემს ან მონაცემთა მიმღებს.

6.3 მხარეს, რომელიც შეუერთდება ხელშეკრულებას, წარმოეშვება უფლება-ვალდებულებები შეერთების მომენტიდან და მასზე არ გავრცელდება უფლებები და ვალდებულებები, რომლებსაც ხელშეკრულება მის შეერთებამდე ითვალისწინებდა.

მუხლი 7. მესამე მხარეების მიერ მონაცემთა მიღება

მხარეები თანხმდებიან და აღიარებენ, რომ მონაცემთა ნებისმიერ სუბიექტს, როგორც მესამე მხარის ბენეფიციარს, რომლის პერსონალური მონაცემების გადაცემაც განხორციელდა წინამდებარე დებულებების შესაბამისად, საკუთარი უფლების, მოქმედების, პრეტენზიის, სარგებლის ან პრივილეგიის მისაღებად უფლება აქვს, დაეყრდნოს წინამდებარე პუნქტების II და III თავების მიერ აღწერილ გარანტიებს.

ნაწილი II – მონაცემთა უსაფრთხოების გარანტიები: მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 8. დავალებები

8.1 მონაცემთა გამცემი ვალდებულია, მონაცემთა მიმღებს აცნობოს, რომ ის დამუშავებაზე უფლებამოსილი პირია და ასრულებს დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს. მიმღებმა უნდა დაამუშავოს პერსონალური მონაცემები მონაცემთა გამცემისაგან მიღებული წერილობითი დავალებების თანახმად. დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

8.2 მონაცემთა მიმღები ვალდებულია, პერსონალური მონაცემები დაამუშავოს მხოლოდ მონაცემთა გამცემის მიერ გაცემული დეტალური მითითებების შესაბამისად ან /და გამცემის მიერ გაცემული დამატებითი მითითებების შესაბამისად, თუმცა ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე გამცემი უფლებამოსილია, მიმღებს დამატებითი მითითებები მიაწოდოს.

8.3 მიმღები ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს გამცემს, თუ მას არ შეუძლია მითითებების შესრულება. თუ მიმღები ვერ ასრულებს დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს, იგი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს.

8.4 მონაცემთა გამცემი ადასტურებს, რომ მონაცემთა მიმღებს დაუწესა მონაცემთა დაცვის იგივე გარანტიები, როგორც ეს გათვალისწინებულია დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა გამცემს შორის დადებული ხელშეკრულებით ან სხვა სამართლებრივი აქტით, ან მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 9. მიზნის შეზღუდვა

მონაცემთა მიმღებმა უნდა დაამუშავოს პერსონალური მონაცემები მხოლოდ გადაცემის კონკრეტული მიზნ(ებ)ისთვის, პირველი დანართის მითითების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი აწვდის მას დამატებით ინსტრუქციებს (გამცემის შუამავლობით).

მუხლი 10. მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობა

მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა გამცემი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს საფასურის გადახდის გარეშე მიაწოდოს ხელშეკრულების ასლი, მხარეთა მიერ შევსებული დანართების ჩათვლით.

მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ ფორმით, რომ მან შეძლოს შინაარსის გაგება, თუმცა ვიდრე გამცემი დოკუმენტის ასლს გაუზიარებს მონაცემთა სუბიექტს, უფლებამოსილია, დაფაროს პერსონალური მონაცემები და სხვა საკითხები, რომლებიც მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად გატარებულ კონკრეტულ ზომებს ეხება. თუ მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს დაფარული ინფორმაციის შესახებ განმარტებას, გამცემი ვალდებულია, განუმარტოს აღნიშნულის შესახებ.

მუხლი 11. მონაცემთა სისწორე და მინიმიზაცია

11.1 თუ მონაცემთა მიმღებისთვის ცნობილი გახდება, რომ მის მიერ მიღებული პერსონალური მონაცემები არაზუსტია ან განახლებას საჭიროებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს. ამ შემთხვევაში მონაცემთა მიმღებმა უნდა ითანამშრომლოს მონაცემთა გამცემთან, რათა დაუყოვნებლივ წაშალოს ან გაასწოროს მონაცემები.

მუხლი 12. დამუშავების ხანგრძლივობა და მონაცემთა წაშლა ან დაბრუნება

12.1 მიმღების მიერ მონაცემთა დამუშავება უნდა გაგრძელდეს მხოლოდ პირველი დანართის მიერ განსაზღვრული ვადით.

12.2 დამუშავების მოქმედებების დასრულების შემდგომ მონაცემთა მიმღები, მონაცემთა გამცემის სურვილისამებრ, ვალდებულია, წაშალოს ყველა პერსონალური მონაცემი, რომლებიც დამუშავებულია მონაცემთა გამცემის სახელით და დაუდასტუროს, რომ მონაცემები წაშლილია ან დაუბრუნოს მონაცემთა გამცემს მისი სახელით დამუშავებული ყველა პერსონალური მონაცემი და წაშალოს არსებული ასლები.

12.3 მონაცემების წაშლამდე ან დაბრუნებამდე მონაცემთა მიმღები ვალდებულია, შესაბამისობაში იყოს წინამდებარე პუნქტებთან.

12.4 თუ მონაცემთა მიმღებს შიდა კანონმდებლობა უკრძალავს დამუშავებულ მონაცემთა დაბრუნებას ან წაშლას, მან უნდა მისცეს გარანტია გამცემს, რომ განაგრძნობს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მხოლოდ იმ ვადით და რაოდენობით დაამუშავებს მონაცემებს, რაც კანონმდებლობით არის განსაზღვრული. მონაცემთა გამცემს უნდა ეცნობოს წინამდებარე შიდა კანონის შესახებ და მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ. შიდა

კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით უნდა მოხდეს საჭირო მონაცემთა მინიმალური რაოდენობის შენახვა.

12.5 წინამდებარე დებულება არ ათავისუფლებს მონაცემთა მიმღებს 22-ე პუნქტის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებისაგან, კერძოდ, ვალდებულებისაგან – აცნობოს მონაცემთა გამცემს ხელშეკრულების სრული ვადის განმავლობაში, თუ მას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ იგი ექვემდებარება ან დაექვემდებარა კანონებს ან პრაქტიკას, რომელიც არ შეესაბამება 22-ე მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 13. მონაცემთა უსაფრთხოება

13.1 მონაცემთა მიმღებმა (მონაცემთა გადაცემის დროს) და მონაცემთა გამცემმა უნდა განახორციელონ როგორც ტექნიკური, ასევე ორგანიზაციული ხასიათის უსაფრთხოების შესაბამისი ზომები თითოეული დამუშავების მოქმედებისათვის, განსაკუთრებით მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის რისკისგან დასაცავად. ასეთი ზომების მიღებისას მათ უნდა გაითვალისწინონ: დამუშავების ხასიათი, დამუშავებული პერსონალური მონაცემების ბუნება და მოცულობა, დამუშავებისთვის გამოყენებული ტექნიკური არქიტექტურის დაუცველობის ხარისხი და განხორციელების ღირებულება. ზომები უნდა შეესაბამებოდეს პოტენციური რისკების სერიოზულობასა და ალბათობას. მხარეებმა უნდა განიხილონ დაშიფვრა ან ფსევდონიმიზაცია დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის – მონაცემთა გადაცემის დროს, როდესაც დამუშავების მიზნ(ებ)ის მიღწევა ამ გზით შესაძლებელია.

ფსევდონიმიზაციის შემთხვევაში პერსონალური მონაცემების კონკრეტულ მონაცემთა სუბიექტისთვის მიკუთვნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია, როდესაც ეს შესაძლებელია, უნდა დარჩეს მონაცემთა გამცემთან.

მონაცემთა მიმღებმა პერსონალურ მონაცემებზე წვდომა თავის თანამშრომლებს უნდა მიანიჭოს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც მკაცრად არის საჭირო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, მართვისა და მონიტორინგისთვის. მან უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები ასრულებენ კონფიდენციალურობის ვალდებულებას.

13.2 მხარეები შეთანხმდნენ დანართში მოცემულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებზე. მონაცემთა მიმღებმა უნდა განახორციელოს რეგულარული შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ წინამდებარე ზომები აკმაყოფილებს მოთხოვნებს უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფად. იგი ვალდებულია განაახლოს უსაფრთხოების ზომები საჭიროებისამებრ. აგრეთვე, აცნობოს მონაცემთა გამცემს მის მიერ ჩატარებული შემოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შესახებ.

13.3 თუ მე-3 დანართში განხორციელებულ და აღწერილ უსაფრთხოების ზომებში არსებითი ცვლილებების ასახვაა საჭირო, მხარეებმა უნდა განაახლონ დანართი.

13.4 მიმღების მიერ ამ პუნქტების შესაბამისად დამუშავებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების ინციდენტის დადგომის შემთხვევაში მონაცემთა მიმღებმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები შესაძლო უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.

13.5 მონაცემთა მიმღებმა მონაცემთა უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს 72 საათისა უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს, რომელიც, თავის მხრივ, აცნობებს კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს წინამდებარე უსაფრთხოების დარღვევის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტების უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. მონაცემთა მიმღები დაეხმარება გამცემს შიდა საკანონმდებლო ჩარჩოთი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

13.6 ორივე შემთხვევაში შეტყობინება უნდა შეიცავდეს ადეკვატურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას, კერძოდ: მონაცემთა დარღვევის ხასიათის შესახებ, საკონტაქტო პირების ინფორმაციას, რომელთაგან მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და ზომებს, რომლებიც მონაცემთა სუბიექტებს შეუძლიათ მიიღონ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის აღმოსაფხვრელად, მათ შორის ზომებს, რომლებიც შეძლებენ შეამსუბუქონ უსაფრთხოების ინციდენტის შესაძლო უარყოფითი შედეგები.

13.7 თუ უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად, დამატებითი ინფორმაციის მიწოდებით, როგორც კი ის ხელმისაწვდომი გახდება.

მუხლი 14. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

როდესაც ხდება განსაკუთრებული კატეგორიების პერსონალურ მონაცემთა გადაცემა, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, გაატაროს დაცვის დამატებითი გარანტიები (განსაკუთრებით დისკრიმინაციის თავიდან არიდების მიმართულებით.) რომლებიც ადაპტირებულია იმ რისკებთან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით.

მუხლი 15. მონაცემთა შემდგომი გადაცემა

15.1 მონაცემთა მიმღები ვალდებულია მესამე მხარესთან პერსონალური მონაცემები გაამჟღავნოს მხოლოდ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტირებული დავალებების საფუძველზე, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მიმღებს გამცემის მიერ მიეწოდება.

15.2 გარდა ამისა, მონაცემთა მიმღებმა პერსონალური მონაცემები მესამე მხარეს არ უნდა გადასცეს, თუ:

(ა) მესამე მხარის შიდა კანონმდებლობა, მათ შორის მისი საერთაშორისო ვალდებულებები მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების საფუძველზე, უზრუნველყოფს დაცვის შესაბამის დონეს კონვენციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ა) მნიშვნელობით, დებულებების შესაბამისად.

(ბ) მესამე მხარე მიაღწევს შესასრულებლად სავალდებულო შეთანხმებას მონაცემთა მიმღებთან, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის იმავე დონეს, რომელიც წინამდებარე პუნქტებით არის გათვალისწინებული, და მონაცემთა მიმღები მიაწოდებს წინამდებარე გარანტიების ასლს მონაცემთა გამცემს; ან

(გ) შემდგომი გადაცემა აუცილებელია კონკრეტული საქმის ადმინისტრაციული, მარეგულირებელი ან სასამართლო წარმოების კონტექსტში; ან

(დ) შემდგომი გადაცემა აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.

15.3 ნებისმიერი შემდგომი გადაცემა ექვემდებარება მონაცემთა მიმღების მიერ წინამდებარე პუნქტებით გათვალისწინებული ყველა სხვა გარანტიის დაცვას, განსაკუთრებით დამუშავების მიზნის შეზღუდვის პრინციპის დაცვას.

მუხლი 16. დოკუმენტაცია და შესაბამისობა

16.1 მონაცემთა მიმღებმა დაუყოვნებლივ და ადეკვატურად უნდა განიხილოს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის კითხვები (რომლებსაც მას გამცემი მიაწვდის), რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავებასთან.

16.2 მხარეებს უნდა შეეძლოთ აჩვენონ, რომ შესაბამისობაში არიან წინამდებარე დებულებებთან. კერძოდ, მონაცემთა მიმღებმა უნდა შეინახოს დოკუმენტაცია, რომელშიც აღწერილია დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისათვის განსაზღვრული დამუშავების მოქმედებები.

16.3 მონაცემთა მიმღებმა, რომელიც შემდგომში მიაწოდებს წინამდებარე ინფორმაციას დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, გამცემისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა ინფორმაცია დებულებებთან შესაბამისობის შესახებ.

16.4 მიმღებმა გამცემს გარკვეულ პერიოდში ერთხელ უნდა მისცეს აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. განხილვის ან აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მონაცემთა 16.3 გამცემს შეუძლია გაითვალისწინოს მონაცემთა მიმღების მფლობელობაში არსებული სერთიფიკატები.

16.5 როდესაც აუდიტი ტარდება დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებების შესაბამისად, გამცემმა აუდიტის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა გახადოს დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისათვის.

16.6 მონაცემთა გამცემს შეუძლია აირჩიოს აუდიტის დამოუკიდებლად ჩატარება ან მოახდინოს მისი ე.წ. „აუთსორსინგი“. აუდიტი შეიძლება მოიცავდეს ინსპექტირებას შენობებში ან ფიზიკურ დაწესებულებებში, რაც, თავის მხრივ, შეიძლება მოიცავდეს ყველა ფიზიკური და ციფრული სისტემის შემოწმებას, აგრეთვე აპლიკაციების ან ზომების შემოწმებას, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავებასა და მონაცემთა უსაფრთხოებასთან, მათ შორის – ალგორითმების გამოყენებასთან ან მონაცემთა ალგორითმულ დამუშავებასთან.

16.7 მხარეებმა 16.2 და 16.3 პარაგრაფებში მითითებული ინფორმაცია, აუდიტის შედეგების ჩათვლით, ხელმისაწვდომი უნდა გახადონ კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს/ორგანიზაციებისთვის მოთხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 17. ქვედამმუშავებლების გამოყენება

ვარიანტი 1: კონკრეტული წინარე ავტორიზაცია

17.1 მონაცემთა მიმღებმა არ უნდა გააფორმოს ქვეხელშეკრულება არცერთ დამუშავებასთან დაკავშირებულ მოქმედებაზე, რომელსაც დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ასრულებს, ამ უკანასკნელის მიერ წერილობითი ავტორიზაციის მიღების გარეშე. მონაცემთა მიმღებმა წერილობით უნდა მოითხოვოს ავტორიზაცია, რომელშიც მინიმუმ მიეთითება კონკრეტული დროის მონაკვეთი ისე, რომ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს მიეცეს ადეკვატური დრო ავტორიზაციის მოთხოვნის განხილვისათვის. აგრეთვე, დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს უნდა მიეცეს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ გადაწყვიტოს ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ავტორიზებული ქვედამმუშავებლების ჩამონათვალი მე-4 დანართშია მოცემული. მხარეებმა საჭიროებისამებრ უნდა განაახლონ მე-4 დანართი.

ვარიანტი 2: ზოგადი წერილობითი ავტორიზაცია

17.1 მონაცემთა მიმღებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული ზოგადი ავტორიზაცია მინიჭებული აქვს ქვედამმუშავებლების ჩართვისთვის (შეთანხმებული ჩამონათვალიდან). მონაცემთა მიმღები წერილობით აცნობებს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს ამ ჩამონათვალში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ქვედამმუშავებლების დამატების ან ჩანაცვლების გზით, სულ მცირე წინასწარ განსაზღვრული დროით [დააზუსტეთ დროის პერიოდი], რითაც მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს საკმარისი დრო მიეცემა,

ქვედამმუშავებლების ჩართვამდე გააპროტესტოს ასეთი ცვლილებები. მონაცემთა მიმღებმა უნდა მიაწოდოს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს საჭირო ინფორმაცია, რათა მონაცემთა გამცემს შეეძლოს საჭიროებისამებრ გამოხატოს წინააღმდეგობა.

17.2 როდესაც მონაცემთა მიმღები მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობით გადაცემის პროცესში ქვედამმუშავებელს რთავს, იგი ვალდებულია მასთან გააფორმოს წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის იმავე გარანტიებს, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ეკისრებოდა მონაცემთა მიმღებს. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პუნქტის მოთხოვნების შესრულებით მონაცემთა მიმღები 15-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან იქნება შესაბამისობაში. მონაცემთა მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ქვედამმუშავებელმაც შეასრულოს ის ვალდებულებები (მონაცემთა დაცვის კუთხით), რომლებიც ამ პუნქტების ძალით ეკისრება მონაცემთა მიმღებს.

17.3 მონაცემთა მიმღებმა გამცემის ან მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში გამცემს უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების ასლი (იგულისხმება მიმღებსა და ქვედამმუშავებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება). მათ შორის, აცნობოს ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასლის გაზიარების დროს მიმღებს შეუძლია ისე დაარედაქტიროს ხელშეკრულების ტექსტი, რომ დაფაროს კომერციული საიდუმლოება, პერსონალური მონაცემები ან/და სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4 მონაცემთა მიმღები გამცემის წინაშე სრულად პასუხისმგებელია ქვედამმუშავებლების მიერ ვალდებულებების შესრულების მხრივ. მიმღებმა გამცემს უნდა აცნობოს ქვედამმუშავებლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

17.5 მონაცემთა მიმღებმა ქვედამმუშავებელთან უნდა შეათანხმოს მესამე მხარის ბენეფიციარის შესახებ დებულება, რომლის მიხედვითაც – იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა მიმღები ფაქტობრივად გაქრება, შეწყვეტს არსებობას ან გაკოტრდება – მონაცემთა გამცემს უფლება ექნება, შეწყვიტოს ხელშეკრულება ქვედამმუშავებელთან. აგრეთვე, გამცემს აქვს უფლება, მოსთხოვოს ქვედამმუშავებელს პერსონალურ მონაცემთა წაშლა ან დაბრუნება.

მუხლი 18. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

18.1 მონაცემთა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს ნებისმიერი მოთხოვნის შესახებ, რომელიც მან მონაცემთა სუბიექტისგან მიიღო. მონაცემთა გამცემის ან დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობის გარეშე მონაცემთა მიმღებმა არ უნდა უპასუხოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას.

18.2 მონაცემთა მიმღები მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს (გამცემის დახმარებით) თავისი ვალდებულებების შესრულებაში უნდა დაეხმაროს, მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებზე პასუხის დაბრუნების კუთხით ამ მუხლებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების შესახებ. მხარეებმა უნდა შეადგინონ დანართი 2 (ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების შესახებ), რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონაცემთა დამუშავების კონტექსტი, რა ტიპის და რა ოდენობის დახმარება შეიძლება იყოს საჭირო.

18.3 პუნქტებით 18.1 და 18.2 ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას მონაცემთა მიმღებმა უნდა შეასრულოს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებები, რომელთა შესახებაც მას ამცნობს გამცემი ან თავად დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 19. მონაცემთა სუბიექტისათვის ზიანის ანაზღაურება

19.1 მონაცემთა მიმღები მონაცემთა სუბიექტებს გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმატით - ინდივიდუალური შეტყობინების ან მისი ვებსაიტის მეშვეობით - აცნობებს საკონტაქტო პირის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საჩივრები. მან დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს ნებისმიერი საჩივარი, რომელსაც მონაცემთა სუბიექტისგან მიიღებს.

(არასავალდებულო) მონაცემთა მიმღები ადასტურებს, რომ მონაცემთა სუბიექტებს უსასყიდლოდ შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი [მიუთითეთ დავის გადაწყვეტის დამოუკიდებელი ორგანო]. მიმღებმა მონაცემთა სუბიექტებს გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმატით - ინდივიდუალური შეტყობინებისა ან მისი ვებსაიტის მეშვეობით - უნდა აცნობოს ასეთი ანაზღაურების მექანიზმის შესახებ და რომ მათ არ მოეთხოვებათ გამოიყენონ იგი ან დაიცვან კონკრეტული თანმიმდევრობა ანაზღაურების მოთხოვნისას.

19.2 მონაცემთა სუბიექტსა და ერთ-ერთ მხარეს შორის შესაბამისობის საკითხებზე დავის შემთხვევაში მხარემ უნდა სცადოს, რომ დავის შეთანხმების გადაწყვეტის გზით დროულად მოაგვაროს საკითხი. მხარეებს შორის დავებისა და მათი გადაწყვეტის საკითხზე კომუნიკაცია უნდა შედგეს.

19.3 როდესაც მონაცემთა სუბიექტი იყენებს მესამე მხარის ბენეფიციარის უფლებას მე-7 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა მიმღები უნდა დაეთანხმოს მონაცემთა სუბიექტის

გადაწყვეტილებას, რათა: (i) შეიტანოს საჩივარი საზედამხედველო ორგანოში მისი დაფუძნების ტერიტორიაზე, 21-ე მუხლის შესაბამისად; (ii) გადასცეს დავა კომპეტენტურ სასამართლოებს 21-ე მუხლის მნიშვნელობით.

19.4 მხარეები ადასტურებენ, რომ მონაცემთა სუბიექტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი არაკომერციული ორგანოს, ორგანიზაციის ან ასოციაციის მიერ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობებით, თუ ეს შესაძლებელია.

19.5 მონაცემთა მიმღები დაემორჩილება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

19.6. მონაცემთა მიმღები ადასტურებს, რომ მონაცემთა სუბიექტის მიერ გაკეთებული არჩევანი არ დააზარალებს მის არსებით და პროცედურულ უფლებებს, მოიძიოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. პასუხისმგებლობა

20.1 თითოეული მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარის/ მხარეების წინაშე ნებისმიერი ზიანისთვის, რომელსაც მიყენებს/მიაყენებენ მეორე მხარეს/ მხარეებს წინამდებარე პუნქტების ნებისმიერი დარღვევით.

20.2 მიმღები პასუხისმგებელია მონაცემთა სუბიექტის წინაშე. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია ნებისმიერი მატერიალური ან არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მონაცემთა სუბიექტს მიადგა ამ პუნქტების დარღვევის გამო.

20.3 პარაგრაფი 20.2 დანაწესის მიუხედავად, გამცემი პასუხისმგებელია მონაცემთა სუბიექტის წინაშე, რომელსაც კონპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერი მატერიალური ან არამატერიალური ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა მონაცემთა გამცემის ან მიმღების (ან მისი ქვედამმუშავებლის) მიერ მიყენებული ზიანის გამო.

20.4 მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ მონაცემთა გამცემს ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემთა მიმღების (ან მისი ქვედამმუშავებლის) მოქმედებისგან გამოწვეული ზიანისთვის 20.3 პუნქტის დანაწესის შესაბამისად, მას უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემთა მიმღებისგან კომპენსაციის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მიმღების პასუხისმგებლობას დამდგარი ზიანისათვის.

20.5 როდესაც მონაცემთა სუბიექტისათვის დამდგარ საზიანო შედეგზე პასუხისმგებლობა ერთზე მეტ მხარეს ეკისრება, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერი მხარის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი სასამართლოში.

20.6 მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ წინა პარაგრაფის დანაწესის თანახმად რომელიმე მხარის პასუხისმგებლობა დგება, იგი უფლებამოსილია სხვა მხარეებს

მოსთხოვოს კომპენსაცია, რაც, დამდგარი საზიანო შედეგიდან გამომდინარე, შეესაბამება სხვა მხარეების პასუხისმგებლობას.

20.7 მონაცემთა მიმღებს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს ის ფაქტი, რომ დამდგარი ზიანი ქვედამმუშაავებლის ქმედებამ გამოიწვია.

მუხლი 21. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო

21.1 მონაცემთა გამცემის გადაცემასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანო უნდა ჩაითვალოს კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოდ.

21.2 მონაცემთა მიმღები თანახმაა, დაემორჩილოს კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს იურისდიქციას, ითანამშრომლოს ამ პუნქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და დაემორჩილოს მის გადაწყვეტილებას. კერძოდ, მონაცემთა მიმღები თანახმაა უპასუხოს შეკითხვებს, ჩაატაროს აუდიტი და შეასრულოს საზედამხედველო ორგანოს მიერ მითითებული ზომები, მათ შორის – გამოსასწორებელი და კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებული ზომები. მიმღები ვალდებულია წერილობით დაუდასტუროს საზედამხედველო ორგანოს, რომ განხორციელდა შესაბამისი მოქმედებები.

ნაწილი III – ადგილობრივი კანონები და ვალდებულებები საჯარო დაწესებულებების მიერ წვდომის შემთხვევაში

მუხლი 22. შიდა კანონები და პრაქტიკა, რომლებიც გავლენას ახდენს პუნქტებთან შესაბამისობაზე

22.1 მხარეებს არ აქვთ საფუძველი, ივარაუდონ, რომ დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებიც ვრცელდება მონაცემთა მიმღების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე (მათ შორის მოთხოვნები მონაცემთა გაზიარებაზე ან სამთავრობო დაწესებულებებისათვის ინფორმაციაზე წვდომის ნების დართვის შესახებ), ხელს შეუშლის მონაცემთა მიმღებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

წინამდებარე პუნქტები ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ კანონმდებლობა და პრაქტიკა პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და მათი მოთხოვნები საჭირო და პროპორციულია დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციის 11(1) პუნქტით გაწერილ მიზნებთან.

22.2 მხარეები აცხადებენ, რომ გაითვალისწინეს შემდეგი პუნქტები:

(ა) კონკრეტული გარემოებები მონაცემთა გადაცემის შესახებ;

(ბ) მონაცემთა მიმღები ქვეყნის კანონმდებლობა მათ შორის პრეცედენტული სამართალი გადაცემის კონკრეტულ გარემოებებთან ერთად;

(გ) ყველა შესაბამისი ხელშეკრულებითი, ტექნიკური და ორგანიზაციული დაცვის ზომა.

22.3 მონაცემთა მიმღები ადასტურებს, რომ, 22.2 პუნქტის შესაბამისად, გამცემს მიაწოდა საჭირო ინფორმაცია თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, და თანახმაა, გააგრძელოს თანამშრომლობა გამცემთან წინამდებარე პუნქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

22.4 მხარეებმა უნდა მოახდინონ შეფასების დოკუმენტირება და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინონ იგი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

22.5 მონაცემთა მიმღები თანახმაა, დაუყოვნებლივ აცნობოს მონაცემთა გამცემს, თუ ამ პუნქტებზე დათანხმების შემდეგ და ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე აქვს საფუძველი, ივარაუდოს, რომ მასზე ვრცელდება ან გავრცელდა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებიც შეუსაბამოა 22.1 პუნქტის მოთხოვნებთან. მათ შორის – დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილების ან ღონისძიების (როგორიცაა, მაგალითად, გამჟღავნების მოთხოვნა), რომელიც მიუთითებს პრაქტიკაში იმ კანონების გამოყენებაზე, რომლებიც 22.1 პუნქტის მოთხოვნებს არ შეესაბამება. გამცემმა ეს შეტყობინება დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთან უნდა გადაამისამართოს.

22.6 წინამდებარე პუნქტის (პუნქტი 22.5) დანაწესის შესაბამისად, შეტყობინების შემდგომ პერიოდში ან თუ სახეზეა გარემოებები, რომლებიც მონაცემთა გამცემს აძლევს საფუძველს, ივარაუდოს, რომ მონაცემთა მიმღები ვეღარ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მონაცემთა გამცემმა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით სწრაფად უნდა მოახდინოს შესაბამისი ზომების იდენტიფიცირება და გატარება (მაგ., ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დასაცავად). გამცემმა უნდა შეწყვიტოს მონაცემთა გადაცემა, თუ თვლის, რომ დაცვის სათანადო გარანტიები არ არსებობს. გადაცემა უნდა შეწყდეს იმ შემთხვევაშიც, თუ გამცემს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო ან დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი მოსთხოვს გადაცემის შეწყვეტას. წინამდებარე შემთხვევაში გამცემი უფლებამოსილია გააუქმოს ხელშეკრულება. თუ ხელშეკრულება გაფორმებულია ორზე მეტ მხარეს შორის, სიტუაციიდან გამომდინარე, გამცემი იმოქმედებს იმ მხარესთან ან მხარეებთან მიმართებით, რომელთა დაკავშირებითაც აქვს ვარაუდი, რომ არ ხდება მონაცემთა გადაცემისას უსაფრთხოების გარანტიების დაცვა (თუ მხარეებს სხვაგვარი შეთანხმება

არ აქვთ მიღწეული წინამდებარე საკითხზე). როდესაც ხელშეკრულება ამ მუხლის საფუძველზე წყდება, გავრცელდება მუხლების 24.4 და 24.5 მოქმედება.

მუხლი 23. მონაცემთა მიმღების ვალდებულებები, როცა მიღება ხდება საჯარო დაწესებულებების მიერ

23.1 შეტყობინება

(ა) თუ მონაცემთა მიმღების ქვეყნის შიდა საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა საშუალებას, მონაცემთა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მონაცემთა გამცემს. აგრეთვე, როცა შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს (ან მაქსიმალურად შეეცადოს მათთან დაკავშირებას), თუ იგი იძულებულია გახადოს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ან გაამჟღავნოს პერსონალური მონაცემები, რომლებიც გადაცემულია გამცემისაგან მესამე პირზე, მათ შორის – საჯარო დაწესებულებაზე. მონაცემთა გამცემმა უნდა გადასცეს ეს შეტყობინება დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს.

(ბ) თუ მონაცემთა მიმღებს კანონით აკრძალული აქვს მონაცემთა გამცემთან დაკავშირება, მაქსიმალურად უნდა სცადოს აკრძალვის გამონაკლისი შემთხვევის მოძიება, შეეცადოს კომუნიკაციას და მოახდინოს ამის დოკუმენტირება. აღნიშნული მიმღებს გამოადგება დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთან ანგარიშვალდებულების მიზნებისათვის.

(გ) როდესაც მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით დასაშვებია, მონაცემთა მიმღები მონაცემთა გამცემის მოთხოვნის საფუძველზე გამცემს გადასცემს რაც შეიძლება მეტ საჭირო ინფორმაციას ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის თაობაზე (მათ შორის: რამდენი მოთხოვნა მიიღო, რა ტიპის ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი, ინფორმაცია მომთხოვნი ორგანოების შესახებ, რამდენად დაკმაყოფილდა ან უარი ეთქვა მოთხოვნებს და როგორი შეთანხმება იქნა მიღწეული წინამდებარე საკითხებზე). მონაცემთა გამცემმა უნდა გადასცეს ეს შეტყობინება დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს.

(დ) მონაცემთა მიმღები თანახმაა, შეინახოს ინფორმაცია პარაგრაფების (ა) – (გ) ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე და მოთხოვნისამებრ გადასცეს იგი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

(ე) პუნქტები (ე) (ა) (ბ) და (დ) არ ათავისუფლებს მიმღებს 22.5 პუნქტის მიერ დაკისრებული ვალდებულებისაგან, 24-ე მუხლის შესაბამისად დაუყოვნებლივ აცნობოს მონაცემთა გამცემს, თუ ის ვერ ასრულებს ამ პუნქტის მოთხოვნებს.

23.2 კანონიერების შესწავლა და მონაცემთა მინიმიზაცია

(ა) მონაცემთა მიმღებმა უნდა განიხილოს მონაცემთა გამჟღავნების ნებისმიერი მოთხოვნის კანონიერება, კერძოდ, უნდა გადაისინჯოს მომთხოვნი საჯარო დაწესებულების უფლებამოსილება ინფორმაციის მოთხოვნის კუთხით, აგრეთვე – მოთხოვნის კანონიერების საკითხი ადგილობრივი კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობის დანაწესის მიხედვით. მონაცემთა მიმღებმა უნდა განიხილოს გასაჩივრების საკითხიც ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისად. გასაჩივრებისა და მასზე პასუხის მიღების/ მოლოდინის პროცესებში მონაცემთა მიმღები უნდა შეეცადოს, მიმართოს კანონით დაშვებულ ზომებს, რათა, ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის მიუხედავად, შეინარჩუნოს ინფორმაცია გაუმჟღავნებლად იმ დრომდე, სანამ არ მიიღებს გასაჩივრების შედეგს.

ეს მოთხოვნები არ ათავისუფლებს მონაცემთა მიმღებს 22.5 და 24.1. მუხლების მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან.

(ბ) მონაცემთა მიმღებმა უნდა ასახოს იურიდიული შეფასებები. ასევე, ნებისმიერი მოთხოვნა ინფორმაციაზე წვდომის მიმართულებით და კანონმდებლობის მოთხოვნების ფარგლებში მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია მონაცემთა გამცემს. აგრეთვე, მან მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მონაცემთა გამცემისა და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსათვის.

(გ) ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემისას, მას შემდეგ, რაც მონაცემთა მიმღები გადასინჯავს ინფორმაციის მოთხოვნის კანონიერებას, მხოლოდ ის ინფორმაცია და ის მინიმალური რაოდენობა უნდა გადასცეს, რაც აუცილებელია მოთხოვნაზე პასუხის გასაცემად.

ნაწილი IV – საბოლოო დებულებები

მუხლი 24. მუხლებთან შეუსაბამობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

24.1 ყველა მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს სხვა მხარეებს, თუ რომელიმე ნებისმიერი მიზეზის გამო ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას/ებს.

24.2 თუ მონაცემთა გამცემი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მონაცემთა მიმღები წინამდებარე მუხლების მოთხოვნებს არ შეესაბამება, მონაცემთა გამცემმა უნდა შეაჩეროს მონაცემთა გადაცემა, სანამ შესაბამისობა არ იქნება მიღწეული ან არ შეწყდება ხელშეკრულება. წინამდებარე დანაწესი 22.6 მუხლის მოთხოვნებს არ აუქმებს.

24.3 მონაცემთა გამცემი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც:

(ა) მუხლი 24.2- ის საფუძველზე მონაცემთა გამცემმა შეაჩერა მონაცემთა გადაცემა და თუ მოკლე ვადაში არ იქნა მიღწეული ხელშეკრულების პუნქტებთან შესაბამისობა (ნებისმიერ დროს, გადაცემის შეწყვეტიდან 1 თვის ვადაში);

(ბ) მონაცემთა მიმღები ხელშეკრულების პუნქტებს არღვევს და არ არის მათთან შესაბამისობაში; ან

(გ) მონაცემთა მიმღები არ ასრულებს სასამართლოს ან მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ამ შემთხვევებში აუცილებელია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ინფორმირება შეუსაბამობის შესახებ.

როდესაც ხელშეკრულებას ორზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, მონაცემთა გამცემმა შესაძლოა გააუქმოს ხელშეკრულება მხოლოდ იმ მხარესთან, რომელიც რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს (თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული).

24.4 ხელშეკრულების გაუქმების შემდგომ (თუ ხელშეკრულება გაუქმდა 24.3 მუხლში მითითებული საფუძვლით), ხელშეკრულების გაუქმებამდე გადაცემული მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს გამცემს ან გამცემის სურვილისამებრ სრულად წაიშალოს. აღნიშნული ვრცელდება მონაცემთა ასლებზეც.

მონაცემთა მიმღები ვალდებულია, დაუდასტუროს მონაცემთა გამცემს, რომ მონაცემები წაიშალა. ვიდრე მონაცემები წაიშლება ან დაბრუნდება, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების მუხლებთან შესაბამისობა. თუ შიდა კანონმდებლობა, რომელიც მონაცემთა მიმღებზე ვრცელდება, კრძალავს მონაცემთა წაშლას ან დაბრუნებას, მონაცემთა მიმღები ვალდებულია, შეინარჩუნოს შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან და მხოლოდ იმ მინიმალური რაოდენობით დაამუშავოს მონაცემები, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. გამცემს უნდა ეცნობოს ადგილობრივი კანონმდებლობისა და კანონით მოთხოვნილი შენახვის ვადის შესახებ. უნდა მოხდეს მონაცემთა მხოლოდ მინიმალური რაოდენობის შენახვა ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მისაღწევად.

მუხლი 25. კანონის შესაბამისობა

ამ ხელშეკრულების სტანდარტულ პუნქტებზე ვრცელდება მონაცემთა გამცემის ქვეყნის კანონმდებლობა.

თუ მონაცემთა გამცემის ქვეყნის კანონმდებლობა არ ცნობს მესამე მხარის ბენეფიციარის (მიმღების) უფლებებს, მაშინ ამ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე უნდა გავრცელდეს შემდეგი ქვეყნის კანონმდებლობა [გთხოვთ, მიუთითოთ კანონმდებლობა, რომელიც ცნობს მესამე მხარის ბენეფიციარის (მიმღების) უფლებებს].

მუხლი 26. ფორუმის და იურისდიქციის არჩევა

26.1 წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყდეს სასამართლოს გზით. [ ]

26.2 მონაცემთა სუბიექტები უფლებამოსილნი არიან თავიანთ დაფუძნების ქვეყანაში მიმართონ სასამართლოებს მონაცემთა გამცემის ან/და მიმღების წინააღმდეგ საჩივრის შეტანის გზით.

26.3 მხარეები თანხმდებიან წინამდებარე პუნქტებით (26.1 & 26.2) განსაზღვრული სასამართლოების იურისდიქციას.

მუხლი 27. არბიტრაჟი

თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა არბიტრაჟის წესებით უნდა გადაწყდეს (შემდგომში „წესები“) საერთაშორისო სავაჭრო პალატის – „International Chamber of Commerce“ (“ICC”) – მხარეთა მიერ არჩეული სამი არბიტრის მიერ.

თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს ერთი არბიტრი. მხარეების მიერ დანიშნული ორი არბიტრი დანიშნავს მესამე არბიტრს. თუ საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან მიმართვის შემდგომ 30 დღის ვადაში მხარეები ან რომელიმე მხარე არ დანიშნავს არბიტრს, არბიტრი დაინიშნება ICC-ის წესების თანახმად.

არბიტრაჟის პროცედურა უნდა გაიმართოს [ქალაქი, ქვეყანა] შემდეგ ენაზე [მიუთითეთ ენა]. არბიტრების გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი, საბოლოო და მხარეების მიერ შესასრულებლად სავალდებულო.

დანართი 1

ინფორმაცია გადაცემის შესახებ

ინფორმაცია, რომელიც თითოეულ გადაცემას მიემართება, უნდა იყოს ნათლად განცალკავებული სხვა ინფორმაციისაგან ან გადაცემის კატეგორიისაგან და ნათლად უნდა იყოს გამიჯნული მხარეების (მონაცემთა გამცემისა და მიმღების) როლები.

წინამდებარე მოთხოვნების შესრულება შესაძლებელია ერთი დანართის შევსებით. სავალდებულო არ არის სხვადასხვა გადაცემისათვის/სხვადასხვა კატეგორიის მონაცემთა გადაცემისათვის დამოუკიდებელი დანართების შევსება.

თუ სახეზეა კომპლექსური შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის ზუსტად გადმოსაცემად საჭიროა მეტი სიცხადე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტი დანართი.

გადაცემის აღწერილობა:

- დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია;
- მონაცემთა სუბიექტების კატეგორიები, რომელთა ინფორმაციის გადაცემაც მოხდა;
- გადაცემულ მონაცემთა კატეგორიები;
- გადაცემული პერსონალური მონაცემები (რა შემთხვევაშიც შესაძლებელია), შეზღუდვები და უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც ითვალისწინებს მონაცემებისა და მათი რისკების შესახებ ინფორმაციას, მაგალითად: მკაცრი მიზნის შეზღუდვა, დამუშავების კანონიერი საფუძველი (მაგალითად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა), წვდომის შეზღუდვა (მაგალითად, მხოლოდ იმ თანამშრომელთა მიერ წვდომა, რომელთაც მიღებული აქვთ შესაბამისი წვრთნა), შეზღუდვები შემდგომ გამჟღავნებასთან დაკავშირებით, მონაცემთა გაზიარების ჩანაწერთა შენახვა, შეზღუდვები შემდგომ გადაცემაზე, უსაფრთხოების კონკრეტული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები (მაგალითად: მონაცემთა დაშიფვრა, ფსევდონიმიზაცია) ან უსაფრთხოების დამატებითი ზომები;
- მონაცემთა გადაცემის სიხშირე (მაგალითად, ერთხელ გადაიცა მონაცემები თუ გადაცემა განგრძობითად გრძელდებოდა);
- დამუშავების ბუნება;
- მონაცემთა გადაცემისა და შემდგომი დამუშავების მიზნები;
- რა ვადით იქნება შენახული პერსონალური მონაცემები ან, როდესაც ეს შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები.

დანართი 2

ხელმოწერის ფორმა

[პერიოდი: დაწყების დრო [თვე/დღე/წელი] – დასრულების დრო [თვე/დღე/წელი]

მონაცემთა გამცემის ინფორმაცია

სრული იურიდიული სახელი:

სავაჭრო სახელი (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი):

ოფიციალური სარეგისტრაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში):

მთავარი საკონტაქტო პირი (სრული სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელ.ფოსტის ჩათვლით):

მონაცემთა მიმღების ინფორმაცია

სრული იურიდიული სახელი:

სავაჭრო სახელი (თუ განსხვავებულია):

მთავარი მისამართი (კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი):

ოფიციალური სარეგისტრაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში):

მთავარი საკონტაქტო პირი (სრული სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია ელ.ფოსტის ჩათვლით):

მხარეები ხელმოწერებით ადასტურებენ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ძალაში შესვლას.

ხელმოწერა მონაცემთა გამცემის მიერ და მისი სახელით

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

სრული სახელი:

პოზიცია:

ხელმოწერა მონაცემთა მიმღების მიერ და სახელით

ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

სრული სახელი:

პოზიცია:

დანართი 3

უსაფრთხოების ზომები

დანართი უნდა შეივსოს და განახლდეს მონაცემთა მიმღების მიერ. ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები უნდა აღიწეროს კონკრეტული და არა ზოგადი ტერმინოლოგიით. უნდა მიეთითოს მონაცემთა რომელ გადაცემაზე რა ზომები ვრცელდება.

- შესაძლო ზომების მაგალითები: პერსონალურ მონაცემთა ფსევდონიმიზაციისა და დაშიფვრის ღონისძიებები;
- დამუშავების სისტემებისა და სერვისების კონფიდენციალურობის, ხელმისაწვდომობისა და გამძლეობის ზომები;
- მონაცემთა ხელმისაწვდომობის აღდგენის ზომები ტექნიკური ან ფიზიკური ინციდენტის დადგომის შემთხვევაში;
- რეგულარული ტესტირებისა და შეფასების პროცესები ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობის შესაფასებლად, მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების მიზნებისათვის;
- ზომები მომხმარებელთა იდენტიფიკაციისა და ავტორიზაციისათვის;
- ზომები პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მათი გადაცემისას;
- ზომები პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მათი შენახვის პერიოდში;
- ფიზიკური უსაფრთხოების ზომები იმ ადგილებში, სადაც მონაცემები მუშავდება;
- ზომები ღონისძიებათა ლოგირებისათვის;
- ზომები სისტემების კონფიგურაციისათვის;
- ზომები შიდა პროგრამული უზრუნველყოფისათვის;
- პროდუქტებისა და პროცესების სერტიფიცირების ზომები;
- მონაცემთა მინიმიზაციის ზომები;
- მონაცემთა ხარისხის მართვის ზომები;
- მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვის ანგარიშვალდებულების ზომები;
- მონაცემთა გადატანისა და წაშლის ზომები.

დანართი 4

ქვედამმუშავებლების ჩამონათვალი

ეს დანართი უნდა შეივსოს და განახლდეს მხარეების მიერ წინასწარ დამტკიცებული ქვედამმუშავებლების ჩამონათვალთან ერთად მუხლი 17.1-ის დანაწესის თანახმად.